სსიპ – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ჯამბულ აბუსელიძე

ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორია

ისტორიის დოქტორის (Ph.D) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაციის

ა ნ ო ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
პროფ. კახაბერ სურგულაძე,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

ბათუმი - 2025

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტში.

სამეცნიერო ხელმძღვანელი: *კახაბერ სურგულაძე* -
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი.
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი.

უცხოელი შემფასებელი: *ვიაჩესლავ ოლიცკი –*
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი.
მაკარენკოს სახელობის სუმის სახელმწიფო პედა
გოგიური ინსტიტუტი (უკრაინა). ისტორიის დე–
პარტამენტის ხელმძღვანელი.

შემფასებლები: *ინგა აბრამიძე*
ასოცირებული პროფესორი. ქუთაისის
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
თამარ კუტალაძე
ისტორიის აკადემიური დოქტორი
ლაშა ასლანიშვილი
ისტორიის აკადემიური დოქტორი

სადისერტაციო ნაშრომის დაცვა შედგება 2025 წლის ... რიცხვი ... თვე ... დღე, 14 საათი, #22 აუდიტორიაში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი სადისერტაციო კომისიის სხდომაზე.

მისამართი: ბათუმი 6010, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. 35/32

სადისერტაციო ნაშრომის გაცნობა შეიძლება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო სადისერტაციო ნაშრომის ავტორეფერატის ნახვა კი უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (www.bsu.edu.ge).

სადისერტაციო საბჭოს მდივანი: ა/პროფ. მაია კიკვაძე

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალურობის დასაბუთება: წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომის თემის სპეციფიკიდან გამომდინარე კვლევის მიზანი იყო, რომ იგი ყოფილიყო ინოვაციურიც. სამეცნიერო წრეებში დიპლომატიის ისტორიის შესწავლა ყოველთვის მიდიოდა ანტიკური ხანიდან დაწყებული დღემდე. მათგან განსხვავებით ჩვენ, მსოფლიო მეცნიერებაში არსებული ტრადიციის გაანალიზებით, შევეცადეთ პრობლემა პირუკუდ შეგვესწავლა, ანუ თანამედროვე დიპლომატიიდან ანტიკურობამდე და ვიკვლევთ ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიას თავისი სპეციფიკით. აქვე განვმარტავთ, რომ ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის შესახებ ქართულ ანტიკურ მეცნიერებაში არ მოგვეპოვება მსგავსი შინაარსის სამეცნიერო კვლევა, რაც ვფიქრობთ, რომ სადისერტაციო კვლევას ორიგინალურს ხდის.

ნაშრომში ანტიკურ წყაროებზე და სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით არის ცდა ანტიკური რომის მეფეთა ხანის და რესპუბლიკურ პერიოდში მიმდინარე ძირითადი ტენდენციების და მასთან დაკავშირებული დიპლომატიური მახასიათებლების წარმოჩენა. სადისერტაციო ნაშრომში ყურადღება დაეთმო ანტიკური რომის დიპლომატიის განვითარების კანონზომიერებების ჩვენებას.

მიზნები და ამოცანები: სადოქტორო ნაშრომის მიზანია ერთის მხრივ ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის, მისი ფორმირების, განვითარების და ფუნქციური კომპონენტების წარმოჩენა მათ შორის ომის და სხვა საკითხებში. მეორეს მხრივ, დაპყრობითი პოლიტიკის ფონზე დიპლომატიური ურთიერთკავშირების წარმოჩენა.

კვლევის ამოცანაა: სისტემაში განვიხილოთ ანტიკურ რომში (მეფეთა ხანა და რესპუბლიკის პერიოდი) გამოვლენილი დიპლომატიური რეალობები. ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის აუცილებელი გახდა შემდეგი პრობლემების გადაჭრა:

- წარმოვაჩინოთ ზოგადად დიპლომატიის გაგების საკითხი ქართულ მეცნიერებაში. იგი იქნება ჩარჩო ანტიკური რომის დიპლომატიის არსის გაგებისთვის;
- ქართულ მეცნიერებაში პირველად წარმოვაჩინოთ ანტიკური რომის დიპლომატიის წარმართველი ორგანოები, მათი ფუნქციების და ხერხების დამახასიათება;
- განვსაზღვროთ ანტიკური რომის დიპლომატიურ ურთიერთობებში გამოვლენილი პოლიტიკური ტენდენციები, რომელსაც იგი იყენებდა ახლო და შორეული

მეზობლების მიმართ ურთიერთობებში;

- ისტორიული პარალელებით გამოვკვეთოთ ანტიკური რომის მიერ უცხო სახელმწიფოებთან სხვადასხვა ფორმით წარმოებული დიპლომატიური მოლაპარაკებები და წარმოვაჩინოთ რესპუბლიკის პერიოდის დიპლომატიის განსაკუთრებულობა;
- განსხვავებულობის ჩვენება მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის პოლიტიკას და დიპლომატიას შორის. კართაგენთან, ელინებთან და სხვა ქვეყნებთან მიმართებაში დიპლომატიური ურთიერთობის მეთოდების ჩვენება;
- მეზობელ სახელმწიფოებთან რელიგიისა და დიპლომატიის როლის წარმოჩენა.

კვლევის საგანი და ობიექტი: კვლევის საგანს წარმოადგენს ძვ.წ. VIII-I ს-ბის ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის წარმოჩენა, რაც თანამედროვე დიპლომატიის ერთ-ერთ ქვაკუთხედათ მიგვაჩნია. კვლევის ობიექტია: ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორია, რომელიც მოიცავს: ა) ანტიკური რომის დიპლომატიას, როგორც ომისა და მშვიდობის დროს მოლაპარაკების ხელოვნებას; ბ) ელჩების მხრიდან ფიცის დადების წესს; გ) სენატისა და რომაელი ხალხის სახელით სხვადასხვა კავშირების დამყარებას, მოლაპარაკებების გამართვას და სხვადასხვა სახის შეთანხმებების დადებას; დ) დიპლომატიურ სამსახურს; ე) ორმაგი დიპლომატიის პოლიტიკას, დიპლომატიური იმუნიტეტის და წარმომადგენლობის წარმოშობის გარკვევას.

კვლევისას ანტიკური რომის მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის დაპყრობითი პოლიტიკის ფონზე ნაჩვენები არის რომაული დიპლომატიის თავისებურებების ანალიზი.

კვლევის მეთოდი და მეთოდოლოგია: კვლევა ეფუძნება საისტორიო მეცნიერებაში აპრობირებულ ზოგად მეცნიერულ მეთოდს, რომელიც გულისხმობს ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის ერთიან კომპლექსით შესწავლას. სამეცნიერო ლიტერატურა დამუშავდა სამეცნიერო (ანალიზი, ინდუქცია და დედუქცია) და სპეციალური-სამეცნიერო საისტორიო მეთოდებით (ისტორიულ ქრონოლოგიური და საისტორიო ფაქტები), რომლებიც ადაპტირებულია საკვლევ ობიექტებთან. ასევე გამოყენებულია: 1) შედარებითი მეთოდით დიპლომატიური განვითარების პროცესებში გამოვლინდა არსებული საერთო და განსაკუთრებული მახასიათებლები და მიზნები;

2) სისტემური მეთოდით მოხერხდა ანტიკური რომის დიპლომატიური სისტემის ანალიზი; 3) ზოგადი მეთოდებით (სინთეზი, აბსტრაქცია...) მოხერხდა ანტიკური რომის დიპლომატიური ფენომენის ყოვლისმომცველი შესწავლა.

დისერტაციის **მეთოდოლოგიური საფუძველია** საისტორიო მეცნიერებაში, პოლიტიკურ მეცნიერებაში და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიაში გავრცელებული ახალი თეორიული მიდგომების გამოყენება. სისტემურ კონცეფციებზე დაფუძნებული განსხვავებული მიდგომების სინთეზმა შესაძლებელი გახადა ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის შესწავლა. კონკრეტული მასალის შესწავლამ ისტორიული კრიტიკის პოზიციიდან მოითხოვდა წყაროების ანალიზი, მათი ინტერპრეტაცია ტრადიციული მეთოდებით და ტექნიკის გამოყენებით.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა: პრობლემის შესწავლის მნიშვნელობას ის გარემოებაც ზრდის, რომ თანამედროვე დიპლომატია თავისი სტრუქტურული შინაარსით იგივე პრინციპებით საზრდოობს, როგორიც იგი იყო ანტიკურ რომში და ჩვენს შემთხვევაში მოიცავს შემდეგს: 1) ანტიკური რომის დიპლომატიის განვითარების, ფორმირების, მეთოდების და განხორციელების გამოვლენას; 2) ანტიკური რომის დიპლომატიის პროცესების განმსაზღვრელი ფაქტორების ურთიერთქმედების გააზრებას, რომაელი ხალხის თვითრეალიზაციის თავისებურებების კონტექსტში; 3) სენატის როლის გამოვლენა საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში;

კვლევის ობიექტია: ანტიკური რომის მილიტარისტული პოლიტიკის ფონზე რომაული დიპლომატიის მიმართულებების და საქმიანობების ჩვენება.

სამეცნიერო სიახლე:

- ნაშრომი არის პირველი ცდა ქართულ ისტორიოგრაფიაში მონოგრაფიულად ანტიკური რომის მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის რომაული დიპლომატიის შესწავლა;
- დიპლომატიური ინსტიტუტებით (სენატი...) იმ პოლიტიკური სურათის წარმოჩენა, რომელიც ანტიკური რომის მხრიდან მეზობელი ტომების თუ ხალხებთან წარმოებულმა დიპლომატიურმა საქმიანობამ განაპირობა. ნაშრომში ძვ.წ. VIII-I ს-ბის ჩათვლით ძირითადი დიპლომატიური ქმედებები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი. საუბარია დიპლომატიური მოლაპარაკების მე-

ქანიზმებზე და საერთაშორისო სამართლის გარკვეულ საკითხებსაც.

- სიახლედ მიგვაჩნია ანტიკური რომის მხრიდან კართაგენთან, ელინისტურ სახელმწიფოებთან და სხვა ტომებთან მიმართებაში რომის მხრიდან წარმოებულ დიპლომატიურ მოლაპარაკებებში ფუნდამენტური განსხვავებების გამოვლენა.
- მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის დიპლომატიის ისტორიაში გარდამტეხ თარიღად მივიჩნევთ - ძვ.წ. 205, 149 და 58 წლებს. განმარტებულია ამ წლეების დიპლომატიური პრაქტიკის თავისებურებები და ა.შ.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: სადისერტაციო ნაშრომში არის ცდა პირველად ქართულ მეცნიერებაში წარმოვაჩინეთ ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორია და დიპლომატიური ინსტიტუტების და ურთიერთობების თავისებურებები. კვლევის პრაქტიკული მნიშვნელობა უკავშირდება: 1) სამეცნიერო აუდიტორიისთვის ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის შესახებ ნაშრომის შექმნა; 2) კვლევის შედეგების გამოყენება შესაძლებელია მსოფლიო ისტორიის, საერთაშორისო ურთიერთობების სწავლებაში და დიპლომატიური საკითხების დამუშავებისას.

სადისერტაციო ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა: საკვალიფიკაციო ნაშრომი 190 გვერდიანი კვლევაა. იგი შესდგება შესავალი ნაწილის, 4 თავის, 9 პარაგრაფის და დასკვნისგან. დაერთვის გამოყენებული ლიტერატურის სია.

თავი I. საკითხის ისტორიოგრაფია

<u>წყაროები:</u> არსებული ანტიკური წყაროების მიმოხილვისას შევნიშნავთ, რომ რომაულ საისტორიო აზროვნებაში არ არსებობდა გაგება ცალკე დიპლომატიური საქმიანობის აღწერის თაობაზე, ამიტომაც საკითხთან დაკავშირებული ფაქტების ძიება ხდება მათი მხრიდან მილიტარისტული პოლიტიკის გადმოცემისას. ძვ.წ. VIII-I ს-ბის ანტიკური რომის დიპლომატიის გაშუქებისას გამოყენებული გვაქვს ძირითადი და მეორეხარისხოვანი წყაროები, რომლებიც მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის მონაკვეთს ეხება. ჩვენის მხრიდან დავსძენთ, რომ წყაროებში ასახულია ანტიკური რომის მხრიდან ცვალებადი დიპლომატიის წარმოების ფაქტები.

ძირითადი წყაროებიდან რამდენიმეს შევეხებით. გამოვყოფთ პოლიბიოსს (ძვ.წ.

?201-?20). იგი მიჩნეულია „თავისუფალი საბერძნეთის უკანასკნელ და დამპყრობელ რომაელების პირველ ისტორიკოსად“. მისი „ისტორია“ ეხება ძვ.წ. 220-146 წლების მოვლენებს (მოლაპარაკებები კართაგენთან, მაკედონია-საბერძნეთში აპიუს კლავდიუსის ელჩობა...). ისტორიკოსი პირველი იყო ანტიკურ სამყაროში, რომელმაც ჩამოაყალიბა ყოვლისმომცველი ისტორიოგრაფიული კონცეფცია. ისტორიის მამოძრავებელ ძალად მას მიაჩნდა „შემთხვევითობა“, რომელიც რომაელებს სათნოებისთვის მფარველობს და ისინი მიჰყავდა ერთიან მიზნისკენ. სციპიონ აფრიკელთან სიახლოვემ მას საშუალება მისცა გაცნობოდა ქვეყნის შიდა სამზარეულოს, რაც მის ნაშრომს წონად მნიშვნელობას აძლევდა. პოლიბიოსი საინტერესო პასაჟს ავითარებდა - ელჩების ამოცანაა „ბარბაროსების გამოსწორება“ (XXXIII. 10).

რომაული დიპლომატიის შესახებ არაერთ ფაქტს გადმოსცემს ლივიუსი (ძვ.წ. 59–ახ.წ. 17) ნაშრომში „ისტორია ქალაქის დაარსებიდან“. ლივიუსი პოპულარული მემატიანე იყო, რის გამოც იგი იმთავითვე რომაული საისტორიო აზროვნების მეტრად იქცა. ლივიუსის მიზანი იყო წარსულის სრული სურათის შეექმნა, რაც მან მისი წარმოჩენა ერთიანი პოზიციიდან მოახერხა. ისტორიკოსის ისტორიული კონცეფციის მნიშვნელოვან ელემენტად ითვლება მორალური დაცემის თეორია. ლივიუსს საინტერესო მიდგომა ჰქონდა, იგი წერდა: „რადგან საქმე ეხება ასეთ უძველეს მოვლენებს, საკმარისად მიმაჩნია ჭეშმარიტებად მივიღო ის, რაც სიმართლეს ჰგავს“.

ნაშრომში ლივიუსი თხრობას იწყებს მითიური ენეუსის აპენინზე გამოჩენით. ისტორიკოსი საბრძოლო მოვლენების გადმოცემისას დიპლომატიის არაერთ ფაქტებს ეხება („რომაელებისთვის როდოსელი ელჩების მილოცვა, სიფაქსთან ძვ.წ. 210 წლის პუბლიუს პოპილიუსის ელჩობა, ძვ.წ. 200 წლის ლუკრეციუსის ელჩობა კართაგენში...). განსაკუთრდების შთამბეჭდავია მისი ინფორმაციები პუნიკურ ომების დროინდელ რომაულ დიპლომატიაზე და ა.შ. სხვათა შორის, ისტორიკოსის განმარტებით, „ელჩი ფუნქცია იყო რომაელთა სახელმწიფოსთვის საკეთილდღეოდ საქმის კეთება“ (XXXIV. 57).

რომაული დიპლომატიის საინტერესო ფაქტები დაცულია აპიანე ალექსანდრიელის (?95-?170) „რომის ისტორია“-ში. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ენციკლოპედიური ცოდნის მხრივ იგი ჩამორჩება ლივიუსს ანდა ტაციტუსს, მაგრამ მის წი-

გნებში ისტორიკოსი მაღლა დგას ცალკეული პოლიტიკოსების და პარტიების საქმიანობის მიკერძოებულ შეფასებებზე. აპიანეს დამსახურება იყო ყოვლისმომცველი ისტორიის შექმნა, რომელიც მოიცავდა პერიოდს მარადიული ქალაქის დაარსებიდან უახლეს დრომდე, რასაც ისტორიკოსმა თავი კარგად გაართვა.

აპიანეს ნაშრომში ისტორიის თხრობას მეფეთა პერიოდიდან იწყებდა, სამწუხაროდ, მისი ნაშრომის მხოლოდ ექვსი წიგნმა (ესპანური, ჰანიბალური, ლიბიური...) მოაღწია, რომლებშიც ანტიკური რომის მხრიდან წარმოებული ომების (ესპანეთი, კართაგენი, ნუმიდია...) ფონზე გადმოცემული იყო რომაელი მხედარმთავრების და მაგისტრანტების მხრიდან წარმოებული სხვადასხვა დიპლომატიური საქმიანობები, დადებული ხელშეკრულებები და ა.შ.

პლუტარქე ქერონეელის (ძვ.წ. 46-ახ.წ. 126) „პარალელური ბიოგრაფიებში“ ანტიკური რომის მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდში მიმდინარე დიპლომატიური საქმიანობების შესახებ არაერთი ფაქტები აქვს დაფიქსირებული. პლუტარქე მორალისტია. თვითონ ამბობდა, რომ წერდა არა ისტორიას, არამედ ბიოგრაფიებს, საიდანაც მკითხველმა უნდა განსაჯოს რას უნდა მიბაძოს და ერიდოს. ეილერსი შენიშნავდა, რომ „პლუტარქესთვის რომის დიპლომატია იყო სამოქალაქო ცხოვრების ნაწილი, რადგან ცნობილი მოქალაქეები მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ პროვინციულ ქალაქებში“. დიპლომატიური საქმიანობის ფაქტებს პლუტარქე გადმოსცემს რომულუსის, ნუმას, მარიუსის, კეისრის და სხვა ისტორიული პერსონაჟების ბიოგრაფიის თხრობისას.

დიონისე ჰალიკარნასელის (ძვ.წ. 54-7) „რომაული სიძველეები“ (20 წიგნი, მათგან სრულად არის შემონახული 9), შეიცავს უამრავ ღირებულ ინფორმაციას ძველი რომის ადრეული ისტორიისა და მმართველობის შესახებ. რომაელთა სიდიადით აღფრთოვანებული დიონისე იმავდროულად ცდილობდა ელინური გარემოდან წარმოედგინა მათი წეს-ჩვეულებები და კანონები. ნაშრომში ავტორი ხშირად ეხება საელჩოების და სხვადასხვა ხელშეკრულებების საკითხებს. ისტორიკოსის კრედო იყო, რომ რომაულ დიპლომატიაში „ელჩების უხამსად ან ძალადობრივად მიღება რომის სახელმწიფოსთვის იყო მიუღებელი“. მაგ., ჰალიკარნასელის თანახმად: „ტულუსისგან გამოგზავნილ ელჩებს მშვიდად უპასუხეს: რომ არ ჰქონდათ რომაელებთან ალი-

ანსზე და მეგობრობაზე დადებული შეთანხმება“ (Halicarn., Antiquitatum romanarum, I. 27).

გაიუს სალუსტიუს კრისპი (ძვ.წ. 86-35) „იუგურთას ომში“ აღწერილს ძვ.წ. 111-105 წლების მოვლენებს, როდესაც რომაელები ჩაერივნენ ნუმიდიის სამეფოს საშინაო საქმეში. ნაშრომის ღირებულებას ისიც ზრდიდა, რომ სალუსტიუსი წყაროდ იყენებდა ომში მონაწილეების (რუფუსი, სულა) მემუარებს და როგორც თვითონ აღნიშნავდა „მეფე ჰიემფსალის წიგნის“ თარგმანს. ჩანს მემუარების გავლენით იყო მისი კრიტიკულ დამოკიდებულება გაიუს მარიუსის მიმართ. ისტორიკოსის წყალობით ვიცით იუგურთას, მეტელუსის, მარიუსის და სულას მხრიდან წარმოებული დიპლომატიური დემარშების ნიუანსები. თვით ავტორი შენიშნავდა, რომ რომაული დიპლომატია საჭიროების შემთხვევაში „ადმინისტრაციული ხასიათითაც გამოირჩეოდა“.

გაიუს სვეტონიუს ტრანკვილუსის (75-140) ნაშრომი „12 კეისრის ცხოვრება“ არის იულიუს კეისრისა და პირველი თერთმეტი რომაელი პრინცეპსის ბიოგრაფიების კრებული. სვეტონიუსი იმპერატორების ცხოვრებებს აღწერდა არა ქრონოლოგიით, არამედ თემატიკის პრინციპით. მისი ნაშრომი საუკეთესო წყაროდ რცება კეისრის მხრიდან გალიის პროკონსულობისას წარმოებულ დიპლომატიურ დემარშების (კონგრესი, სხვადასხვა ტომებთან მოლაპარაკებები...) წარმოჩენის საქმეში. სვეტონიუსით ხდება ანალოგიურ საკითხზე პლუტარქეს და კეისრის ნაშრომის შევსება გვიანდელი რესპუბლიკის დიპლომატიური საქმიანობის შესწავლისთვის დიდი მნიშვნელობა აქს იულიუს კეისრის (ძვ.წ. 100-44) ისტორიულ ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაშრომს „კომენტარები გალიის ომის შესახებ“. ზოგადად, კეისრის ლიტერატურული მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო. მართალია იგი პროფესიონალი ისტორიკოსი არ იყო, მაგრამ აღნიშნულ ნაშრომს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ძვ.წ. I ს-ის შუა წლების რომის ისტორიის შესწავლისათვის.

„კომენტარები“ რვა წიგნად შექმნილი თხზულებაა. მასში ლაკონური ენით, მესამე პირში, აღწერილია ძვ.წ. 58–50 წლებში კეისრის პროკონსულობა გალიის პროვინციაში. თხზულებაში კეისარი გალის, გერმანიისა და ბრიტანეთის შესახებ აფიქსირებს ფასდაუდებელ გეოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ მასალას. „კომენტარები“–ს მიხედვით შეგვიძლია წარმოვაჩინოთ კეისრის დიპლომატიური მანევრები. გალურ ძალე-

ბთან დაპირისპირებაში იგი არაერთხელ მიმართავდა ტაქტიკურ ხრიკებს და ილეთებს. ნაშრომში სჩანს პროკონსულის მოლაპარაკებები ჰელვეტებთან, ედუების. არიოვისტთან, სხვებთან და რაც მთავარია ამ ნაშრომით შეგვიძლია ვისაუბროთ ე.წ. „გალური კონგრესის“ თაობაზე, სადაც ყოველმხრივ გამოჩნდა პროკონსულის დიპლომატიური უნარები.

ლუციუს ანეუს ფლორუსი (70-140) მეორეხარისხოვან ისტორიკოსად არის მიჩნეული, მაგრამ ნაშრომში - „700 წლის მანძილზე რომის ისტორიის ყველა ომების ეპიტომები“, მას გამოყენებული ჰქონდა მეფეთა ხანიდან დაწყებული ავგუსტუსის დრომდე საშინაო და საგარეო ომების შესახებ დღეისთვის დაკარგული არაერთი წყარო. ფლორუსს საინტერესო ხედვებიც ჰქონდა. მაგ., სამნიტებს და რომაელებს შორის დადებულ ხელშეკრულების შესახებ იგი მიუთითებდა, რომ „პირდაპირი ჩარევა დაარღვევდა მათ შორის დადებულ ხელშეკრულებას“ (Flor., Epitomae, Bellum Samniticum, I. 11).

რომის დიპლომატიური ინსტიტუტის, კერძოდ ელჩების საქმიანობის შესახებ საინტერესო წყაროა იმპერიის პერიოდის იურისტის დომიციუს ულპიანუსის (?170-223) ადმინისტრაციული ხასიათის ტრაქტატი „პროკონსულთა მოვალეობის შესახებ“. მართალია, იმპერიის ხანაში პროკონსულის ინსტიტუტმა ცვლილება განიცადა, მაგრამ ნაწილობრივ იგი ინარჩუნებდა რესპუბლიკის დროინდელ მოვალეობებს. მაგ., პროკონსული უფლებამოსილი იყო ხშირად დამოუკიდებლად ეწარმოებინა მეზობელ სუბიექტებთან დამოუკიდებელი დიპლომატიური საქმიანობა. ულპიანუსის მიხედვით პროკონსულები დიპლომატიური საქმიანობას ლეგატები აკონტროლებდნენ (Ulp., De officiis proconsulis, I. 2143).

<u>ისტორიოგრაფია.</u> ანტიკური რომის თემატიკის შესწავლა ქართულ მეცნიერებაში ძირითადში მიდიოდა პოლიტიკური ისტორიის კუთხით. ამას მისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა. საქმე იმაშია, რომ საბჭოთა აზროვნება იგნორირებას უწევდა დიპლომატიური მომენტების წინა პლანზე წამოწევის და მისი ნიუანსების შესწავლის საკითხებს. ასეთი მიდგომის გამო, ქართულ მეცნიერებაში, არ მოგვეპოვება ნაშრომი, რომელშიც ნაჩვენები იქნებოდა ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის ზოგადი და კონკრეტული მხარეები. კვლევაში გამოყენებულია ქართული ანტიკური რომის

ისტორიული სკოლის წარმომადგენლების ზოგადი ხასიათის ნაშრომები (ალ. წერეთელი, 1957, 1961, 1992; ლ. სანიკიძე, 1963, 1970, 1989; გ. ქავთარია, 1979, 2016, 2020; კ. სურგულაძე, 2019...), მაგრამ ვიტყვით, რომ მათი კვლევის ობიექტი იყო პოლიტიკური და სამხედრო ისტორიის წარმოჩენა. კი, მათში არის საუბარი სენატის როლზე, წარმოჩენილი სხვადასხვა მოლაპარაკებები, მაგრამ არ სჩანს კონკრეტიკა რომაული დიპლომატიის დადებით და უარყოფით მხარეებზე, საელჩოების ფუნქციებზე და ა.შ. ყოველივეს გამო ქართულ სამეცნიერო წრეებში ანტიკური რომის მხრიდან წარმოებული დიპლომატიური ურთიერთობების ნიუანსები უცნიიობი რჩებოდა. წინამდებარე კვლევა აღნიშნული ხარვეზის შევსების ცდაა, სადაც დიპლომატიის თანამედროვე გაგებიდან არის ანტიკური რომის ისტორიის ტრადიციული მომენტების გააზრების ცდა. აქედან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ იგი ინოვაციურია.

სადისერტაციო ნაშრომის პირველი ნაწილი დაეთმო ზოგადა დიპლომატიის არსის განმარტებას და ყურადღება გამახვილებულია ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის მომენტებზე. ეს მლომენტი საინტერესოა საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტებისათვისაც, რადგან იგი შეაჯამებას უკეთებს ქართულ მეცნიერებაში მისი შესახებ არსებულ თეორიულ მსჯელობებს, მოტანილია წონადი მეცნიერების (რ. აარონი, ჰ. მრგენთაუ, ჰ. ნიკოლსონი, ე. სატოუ...) შეხედულებები. აქვე ვიტყვით, რომ კვლევისას ჩვენთვის ბაზისი იყო ჰ. კისინჯერის (1923–2023) პოზიცია და მიგვაჩნია, რომ დიპლომატია უნდა განვიხილოთ, როგორც „ახალი მსოფლიო წესრიგი“, რომელიც „წარმოიქმნება გამოცდილებისა და ძალისხმევის შედეგად, ომისა და მშვიდობის ძალებს შორის ძალთა ბალანსის დროს“.

დისერტაციის დანარჩენი ნაწილი ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის საკვანძო მომენტების შესწავლას დაეთმო. შევნიშნავთ, რომ ამოსავალი მომენტი არის ევროპულ საისტორიო მეცნიერებაში არსებული სამეცნიერო ნაშრომები. ფორმატის სიმცირის გამო შევეხებით რამდენიმეს. რადგან ანტიკური რომის მხრიდან მიმდინარე დიპლომატიური საქმიანობები რომაული მილიტარისტული პოლიტიკის წინსწრები ანდა შემდგომი პერიოდის გამოვლენა იყო, ამიტომაც ხმელთაშუაზღვისპირეთში მიმდინარე დაპყრობების სურათის წარმოსაჩენად გამოყენებულია XIX–XX ს–ბში საისტორიო მეცნიერებაში არსებულ სამეცნიერო ტრადიცია, რომელშიც რიგ საკითხ-

ებზე მოცემულია ახლებური ინტერპრეტაცია.

ნაშრომში გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურის ბაზა ფართოა, სულ 340 წყარო თუ ლიტერატურა, რომლებიც არსებობს ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და რუსულ საისტორიო მეცნიერებაში. ეს საშუალებას გვაძლევს სხვადასხვა სკოლებში წარმოვაჩინოთ საკითხის შესწავლის მდგომარეობის ისტორია. აქ შევნიშნავთ, რომ რომაული მილიტარიზმის და დიპლომატიური ურთიერთობების ისტორიის შესწავლის საკითხზე გავლენას ახდენდა ამა თუ იმ ქვეყანაში დომინირებული იდეოლოგია. ასე იყო მაგ., სსრ კავშირში, სადაც მარქსისტული იდეოლოგიის გამო მთავარი ყურადღება გადატანილი იყო პოლიტიკურ მომენტებზე და კლასთა ბრძოლის საკითხების კვლევაზე. რაც შეეხება დიპლომატიური ურთიერთობების ნიუანსებს, მათზე პოლიტიკის ჭრილში საუბრობდნენ ანდა ნაკლები ყურადღება ექცეოდა. ამიტომაც იყო, რომ ნ. მაშკინის, ს. კოვალიოვის და სხვების ნაშრომებში მთავარი ადგილი პოლიტიკური ურთიერთობის და ისტორიის საკითხების თხრობას ექცეოდა.

საილუსტრაციოდ მოგვყავს რუსულ ისტორიოგრაფიაში ზოგადი სახის ცნობილი პუბლიკაციაა „დიპლომატიის ისტორია“ (ტ. 1, 1941), სადაც საუბრია ანტიკური რომის დიპლომატიის მახასიათებლებზე და დიპლომატიურ ორგანოებზე. მეფეთა პერიოდის ელჩების და საელჩოების მრიდან წარმოებულ დიპლომატირ საქმიანობაზე, ნახსენებია „ფეციალის კოლეგიის“ და სენატის, როგორც დიპლომატიური ორგანიზაციების და მათი როლი უცხო ქვეყნებთან ურთიერთობების საკითხში. ყურადღება გამახვილებულია რესპუბლიკის პერიოდში წარმოებული დიპლომატიის სხვადასხვა მომენტებზე (ანტიკური რომის საერთაშორისო ურთიერთობები, ჰანიბალის კავშირი მეფე ფილიპე V-თან, რომის დიპლომატიური გამარჯვება ელადაში, რომაელი ელჩების გამოსვლა აქეიის ლიგაში. ასევე აფრიკასა და ეგვიპტეში წარმოებული დიპლომატია. ცალკე ადგილი დათმობილია კეისრის გალურ დიპლომატიას). ამის მიუხედავად, პუბლიკაციის ნაკლად მიგვაჩნია: ელჩების მდგომარეობაზე და საელჩო სამართალზე ნაკლები ყურადღების დათმობა, ანტიკურ რომსა და სხვა ქვეყნების შორის არსებულ დიპლომატიურ საქმიანობებში მსგავსება–განსხვავების ჩვენება, რომაული დიპლომატიის უარყოფითი მხარეების წარმოჩება, გალური კონგრესის პანეგერიკა და ა.შ.

ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიის შესწავლის მიმართ რუსული ისტორიოგრაფიის მთავარი შტრიხები. მაგ., ს. უტჩენკომ (1908-1976) შემოგვთავაზა ფორმულა: სენატი + ხალხი, რაც სიახლე იყო, თუმცა მეცნიერის მტკიცება, რომ კეისრის „სურვილი სახელმწიფოს გაერთიანება და მთელი თავისუფალი მოსახლეობისთვის თანაბარი უფლებების მინიჭება“, იყო მისი საშინაო დიპლომატიის ერთგვარი კრედო, პანეგირიკის სფეროში გადადიოდა. სხვა პუბლიკაციებიდან გამოვყოფთ: ი. მაიაკმა. ძვ.წ. III-II ს–ბში რომი–ელინისტურ სამყაროს შორის ელჩებისა და საელჩოების საკითხს შეეხო ვ. კაშეევი. რომაელი ელჩების სტატუსი და პოზიცია წარმოაჩინა ე. დანილოვამ. ავტორის მხრიდან სიახლე იყო საელჩოების განხილა სადაზვერვო ფუნქციების განხორციელების თვალსაზრისით. ლ. შმელიოვა მიიჩნევდა, რომ „დიპლომატიური ფუნქციის შემსრულებელი ორგანოების სისტემა ჩამოყალიბდა მეფეთა ხანაში“. მეცნიერის შენიშვნით, „დიპლომატიური საქმიანობა კანონმდებლობით გაიწერა ნუმას მეფობისას, რომლის დროსაც ჩამოაყალიბდა საელჩოების მარეგულირებელი წესები“.

რომაული დიპლომატიური საქმიანობა გააზრება ხდება პოლიტიკური ისტორიის და მილიტარისტული პოლიტიკის გააზრების ფონზე. ამ მხრივ, XIX–XX ს–ბში ევროპულ მეცნიერებაში ანტიკური რომის ისტორიაზე წონადი ნაშრომები შეიქმნა. შევნიშნავთ, რომ აღნიშნული საკითხების შესწავლაზე გავლენას ახდენდა დომინირებული იდეოლოგია. მაგ., გერმანულ და იტალიურ ისტორიოგრაფიაში ფაშისტური იდეოლოგიის გამო პოპულარული იყო ძლიერი პიროვნების კულტი, ამიტომაც იქ აქტიურად მიდიოდა ანტიკური რომის და განსაკუთრებით კეისრის პანეგირიკა. ამ მხრივ გამოკვეთილი იყო ნობელის პრემიის მფლობელი თეოდორ მომზენი (1817-1903), რომელის ნაშრომი ბაზისად იქცა ევროპულ მეცნიერებაში ანტიკური რომის ისტორიის შესწავლის საქმეში. ფორმატის სიმცირის გამო ავტორეფერატში მხოლოდ მასზე ვისაუბრებთ. უდაოა, რომ გერმანელმა მეცნიერმა დეტალურად შეისწავლა ძვ.წ. VIII-I ს–ბის მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის ისტორია, მიმდინარე დიპლომატიური ტენდენციები, სენატის როლი და ა.შ. იგი აღნიშნავდა, რომ „ეს ინსტიტუტი არ იყო დამოკიდებული არც მეფეზე და არც მოქალაქეების კრებაზე. სენატს ჰქონდა უფლება ყველა გადაწყვეტილება აეწონა-დაეწონა და უარი ეთქვა მოქალაქე-

ების მიერ მეფის წინადადების დადგენილების დამტკიცებაზე“.

რესპუბლიკის პერიოდის რომაული დიპლომატია მომზენის აზრით „გამოირჩეოდა გამძლეობით, ეშმაკობითა და თანმიმდევრულობით და არა მოქმედების სისწრაფით“. სამნიტებთან მიმართებაში მომზენი წერდა: „რომაელი ელჩები მიდიოდნენ შეტყობინებით და მოთხოვნით, რომ მეგობარი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ძალით არ შეჭრილიყვნენ“. კართაგენი-რომის ურთიერთობებზე საუბრისას მკვლევარს მიაჩნდა, რომ რომის დიპლომატიამ კართაგენი იძულებული გახადა გაეყვანა არა მარტო დასავლეთით ხმელთაშუა ზღვის სავაჭრო ურთიერთობებიდან, არამედ „პოლიტიკური სისტემიდანაც“. რაც შეეხება რესპუბლიკურ სენატს, მეცნიერი შენიშნავდა, რომ იგი „იყო არა აგრესორი, არამედ მშვიდობისმყოფელი ორგანო“. სხვა დეტალებიდან ვიტყვით, რომ „კეისრის მითის“ წყალობით, რომაელი მომზენისთვის იდეალური პოლიტიკოსია, რის გამოც იგი ვერ ხედავდა მის უარყოფით მხარეებს, შესაბამისად მისი მხრიდან წარმოებული დიპლომატიაც იდეალურიც იყო.

ანტიკური რომის ისტორიის შესწავლის კუთხით ევროპული სამეცნიერო ბაზა მდიდარია, სადაც ზოგადი სახის (გ. ფერერო...), ანდა ცალკეულ მომენტების (გ. ბუასიე, რ. საიმი...) და პიროვნებების (ვ. შასკლეტონ–ბაილეი...) შესახებ არაერთი წონადი ნაშრომების დასახელება შეიძლება. პრობლემის ობიექტიდან გამომდინარე, შევნიშნავთ, რომ კლასიკურ კვლევებში განებივრებული არ ვართ ზოგადი ხასიათის ნაშრომებით, რომლებშიც ერთიანი სურათით შესწავლილი იქნებოდა ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორია, რომაელი ელჩების საქმიანობა, საელჩო სამართალი და ა.შ., რაც საშუალებას მოგვცემს მეფეთა ხანის და რესპუბლიკურ პერიოდის აღნიშნული ინსტიტუტების ფორმირებას და ცვლილებას თვალყური მივადევნოთ. ანტიკურ რომში ელჩების თანამდებობა და მათი დიპლომატიური საქმიანობა შეისწავლეს პ. ვილიამსმა, მ. იენამ, ჟ–ლ. ფერარიმ და სხვ. მაგ., პ. ვილემსის ნაშრომში – „რომაული სახელმწიფო სამართალი“, გადმოცემულია გვიანდელი რესპუბლიკისა და იმპერიის პერიოდში რომში საელჩოს კანონის ზოგადი დებულებები. მ. იენამ და ჟ–ლ. ფერარიმ აღწერეს ელჩების პოზიციები და რომის გვიანდელი პერიოდის დიპლომატიური საქმიანობის გარკვეული ასპექტები.

პ. მარტინი ნაშრომში – „სამეფო ძალაუფლების იდეა რომში. სამეფო და მონარქ-

იული ცდუნებები, კლასიკური ანტიკურობა“, საუბრობდა მეფეების მხრიდან განხორციელებულ დიპლომატიურ ურთიერთობებზე. ავტორს მიაჩნია, რომ „რომულუსის მიერ დაფუძნებული დიპლომატიური ურთიერთობები წარმოშობილ კონფლიქტებთან თითქმის არასოდეს ჰქონდა პირდაპირ კავშირში“. მეცნიერს საბინებთან შერიგების საქმეში ქალების ჩართვა, რომის მხრიდან „პირველ დიპლომატიურ აქტად“ მიაჩნია. მეცნიერი „ლათინებთან დაახლოებას, ჰერნიკებთან და ვოლსკებთან ალიანსების ძიებას, ეკვებთან მშვიდობის და ეტრუსკებთან ხელშეკრულების განახლებებს ტარკვინიუს „ამაყის“დიპლომატიურ ინიციატივებად მიაჩნია“.

პ. ბურტონმა ნაშრომში „რომაული დიპლომატია“, წამოწია ე.წ. „იძულებითი დიპლომატიის“ საკითხი. მეცნიერი აღნიშნავდა: „რომაელი მეფეები დიპლომატიის გზით კონფლიქტებს თავიდან იცილებდნენ, რომელშიც წინდახედულობას და სიფრთხილეს ავლენდნენ, ხოლო „იძულებითი დიპლომატიის“ მეშვეობით ომებსაც იგებდნენ“. აქ კარგი იქნებოდა მეცნიერს ტერმინის შინაარსი გაეხსნა. პუნიკურ ომებზე საუბრისას, ბურტონმა ყურადღება მიაქცია ომამდელ დიპლომატიურ მოქმედებებს. იგი წერდა: „ყველა მხარის დიპლომატიური ინციდენტების და პოლიტიკური მანევრების გამო ურთიერთან კართაგენი და რომი ჩაკეტილი აღმოჩნდნენ“. მეცნიერი მიუთითებდა: „ძვ.წ. 264 წელს რომი–კართაგენს შორის დაპირისპირება დაიწყო, როგორც მცირე დიპლომატიური ბრძოლა, რომლის დროსაც ერთ-ერთი მათგანი ბევრად უფრო მცირე ძალას, სიცილიის ქ. მესანას დაეხმარა“. სამწუხაროდ ავტორი არ საუბრობს ძვ.წ. 241 წლის „ლუტაციუსის ხელშეკრულების“ დეტალებზე. ამის მიუხედავად, მეცნიერის მხრიდან პრაქტიკაში „იძულებითი დიპლომატიის“ შემოტანამ და პუნიკურ ომამდე არსებული „დიპლომატიური ომების“ წარმოჩენა სიახლეს წარმოადგენდა.

ლ. პელოქუინმა ნაშრომში („ფეციალები და დინამიური კონსერვატიზმი რომაულ რელიგიაში“) შეისწავლა „ფეციალები“–ს როლი დიპლომატიურ საქმიანობებში, მათი ადგილი ხელშეკრულებების დადების პროცესში. მეცნიერმა აღნიშნა მათი მონაწილეობა ფიდესთან (ძვ.წ. 763; ძვ.წ. 715) და ალბელებთან (ძვ.წ. 672; ძვ.წ. 641) დადებულ ხელშეკრულებებში. პელოქუინის აზრით, რესპუბლიკის პერიოდში რომი „წინააღმდეგობრივ დიპლომატიას“ აწარმოებდა. მეცნიერი თვლიდა, რომ „ფეციალე-

ბი კისრულობდნენ უცხოელი ელჩების დაცვას. რადგან რომის მხრიდან საზღვარგარეთის ქვეყნებთან რთული დიპლომატიის გამო, უკანასკნელების დაცვა მეტ ყურადღებას ითხოვდა“.

კლ. ეილერსი („დიპლომატები და დიპლომატია რომაულ სამყაროში“) აღნიშნავდა, რომ „თანამედროვე დიპლომატიისგან განსხვავებით რომაულ სამყაროში მმართველების ქცევებზე გავლენას დიპლომატიური მოქმედებები და რიტუალები ახდენდნენ“. იგი შენიშნავდა, რომ „ინტერესების დაცვისთვის რომს საზღვარგარეთ მუდმივი წარმომადგენლობა არ ჰყავდა. ამის მიუხედავად, იტალიკელებთან და ბერძნულ სახელმწიფოებთან იგი დიპლომატიური მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ხოლო მათი გაუთვალისწინებლობა გაუგებრობებს იწვევდა, როგორც ეს ჩნდებოდა იტალიკ მოკავშირეებთან“. ეილერსის შენიშნავდა, „რესპუბლიკის პერიოდის რომაულ დიპლომატიაში ძირეული ცვალა მას შემდეგ იწყება, რაც რომაელებმა ომების შემდეგ დადებული ხელშეკრულებების განახლებები დაიწყეს“, ხოლო კეისრის დიპლომატიის მნიშვნელობის შესახებ მეცნიერი წერდა, რომ „რომაული დიპლომატიის მუდმივი ინტერესი, ისტორიული მომენტების გააზრების წინაპირობა მას შემდეგ გა-ხდა, როდესაც კეისარმა ბრძოლების პროცესში მოლაპარაკებების გამოყენება დაიწყო“.

კლ. ოლიარდი („რომაული დიპლომატია, დაპყრობის ინსტრუმენტი“) ანტიკური რომის დიპლომატიის საკითხების კვლევისას შეეხო მეფეთა ხანიდან დაწყებულ სამნიტურ ომებამდელ მონაკვეთს. მეცნიერი შენიშნავდა, რომ „დიპლომატიური ვალდებულების შესრულება მეფის პირადი საქმე იყო, რამაც დიპლომატიური პრაქტიკის ჩამოყალიბება გამოიწვია, რომელიც ძალაუფლების დელეგირების, საელჩოების მიღების და გაგზავნის მოქმედებებთან იყო დაკავშირებული“. რესპუბლიკის პერიოდის დიპლომატიის შესახებ ოლიარდი მიუთითებდა, რომ „რესპუბლიკის პირველი წლების დიპლომატიაში ძვ.წ. V საუკუნე შეიძლება განისაზღვროს არათანაბარი ხანგრძლივობის ორი თვალსაჩინო დიპლომატიური მოვლენით: 1) ძვ.წ. 486 წელს ჰერნიკებთან დადებული ხელშეკრულებით, რომელიც წარმოადგენდა ერთ-ერთ იშვიათ საბუთს, რომელსაც მომდევნო ათწლეულებში იცავდნენ და 2) ძვ.წ. 454 წელს დეცემვირატის დროს, რომელიც დიპლომატიის ევოლუციით შემოიფარგლებოდა, ხოლო „უკანასკნელი ტარკვინიუს „ამაყის“ მიერ დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებები

არ არღვევდა დიპლომატიურ პრაქტიკას. იგი აგრეთვე, წერდა „ომებში და მოლაპარაკებებში გამოვლენილი ტარკვინიუსის დიპლომატია „მშვიდობიანობას“ მოიცავდა. ამრიგად, „ტარკვინიუს „ამაყის“ მხრიდან განხორციელებული დიპლომატია ურთიერთგანსხვავებულ ფორმებს მოიცავდა, ხოლო დადებული „მშვიდობიანი“ ხელშეკრულებები არათანაბარი იყო.

ზემოთქმულის გარდა, მეცნიერს სიახლის სახით შემოაქვს „ძალთა ბალანსის“ საკითხი. ოლიარდი აღნიშნავდა, რომ „ძვ.წ. 480 წელს, რომაულმა დიპლომატიურმა მისიებმა, როგორც ჩანს, გავლენა მოახდინეს დიპლომატიაზე და მნიშვნელოვნად შეცვალა „ძალთა ბალანსი“. მკვლევარი მიდის დასკვნამდე, რომ „როგორც არ უნდა ყოფილიყო ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სენატს შეეძლო პასუხი გაეცა ან დაუყოვნებლივ ჩარევის გადაწყვეტილება მიეღო“.

ავტორეფერატის ფორმატი არ გვაძლევს ლიტერატურის მიმოხილვის საშუალებას. დავსძენთ, რომ ვინაიდან ქართულ მეცნიერებაში ანტიკური რომის მეფეთა ხანის და რესპუბლიკის პერიოდის დიპლომატიის ისტორიის შესწავლა სპეციალური კვლევის საგანი არ ყოფილა, ამიტომაც უცხოური და ეროვნული კვლევების ფარგლებში მისი გაშუქებით განისაზღვრება სადისერტაციო ნაშრომის სამეცნიერო სიახლე.

თავი II. ანტიკური რომის დიპლომატიის თავისებურება

2.1 დიპლომატიის არსი და დიპლომატიური სამსახურები

წინამდებარე თავი თეორიული საკითხის - „დიპლომატიის არსის და დიპლომატიური სამსახურების“ საქმიანობის წარმოჩენას ეხება. ეს საკითხი საინტერესოა ქართულ მეცნიერებაში საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლის კუთხით და მისი განმარტება გვჭირდება, რომ მის საფუძველზე წარმოვაჩინოთ ანტიკური რომის დიპლომატიის თავისებურებები. დიპლომატიის არსივნაშრომში სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებული ფორმულით არის განმარტებული, რომ იგი არის სახელმწიფოს მხრიდან საგარეო პოლიტიკის განხორციელება, რომლის მიზანია ეროვნული ინტერესების დაცვა. სახელმწიფო ადასტურებს თავის საერთაშორისო პოზიციებს და მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით გავლენას ახდენს სხვა საერთაშორისო აქტორების პოზიციებზე, დეკლარაციების, შეხვედრების, სამიტებისა თუ მოლაპარაკების

გზით, რომელიც შეიძლება წარიმართოს ორმხრივ ან საყოველთაო დონეზე, რომელიც მრავალმხრივ დიპლომატიას გულისხმობს. მხარეთა შეთანხმების შედეგად მოლაპარაკებებმა შეიძლება მიგვიყვანოს გარკვეულ მიღწევამდე.

ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა მკვლევართა მიერ „დიპლომატიის“ განმარტებები (ჰ.ნიკოლსონი, ჰ.ბული, ე.სატოუსი, პ.ბარბერი და სხვ.). დიპლომატია ჩვენს მიერ გაგებულია, როგორც „წესრიგის ბუნებას მსოფლიო პოლიტიკაში“, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ძველ რომაული დიპლომატიის ისტორიის შესწავლის საკითხს ჰ. კისინჯერის (1923–2023) მსგავსად უნდა მივუდგეთ, რომელიც დიპლომატიას „ახალ მსოფლიო წესრიგად“ ხსნიდა, რომელიც „წარმოიქმნება გამოცდილებისა და ძალისხმევის შედეგად, ომისა და მშვიდობის ძალებს შორის ძალთა ბალანსის დროს“.

ნაშრომში დაზუსტებულია „დიპლომატიის“ გამოყენების შემთხვევები, მისი წარმოშობა და განვრცობა. შენიშნულია, რომ ადამიანთა აზროვნებამ პირველ დიპლომატებად განსაზღვრა ანგელოზები და მაცნეები, რომლებიც „ცასა და დედამიწას შორის მსახურობდნენ“. ევოლუციის პარალელურად, თანდათან, წამოიწია ომის ფაქტორი. შეიქმნა ტრიადა: მაცნედან ორატორამდე და ორატორიდან პროფესიონალი დიპლომატიამდე.

„დიპლომატია“ ბერძნული სიტყვა „Diploma“-დანა. ასე უწოდებდნენ ძველ საბერძნეთში ორ შეტყუპებულ ფიცარს, დაფებს ტექსტით და მის ქვეშ მოიაზრებოდა ოფიციალური დოკუმენტები. თუმცა, თავად ამ სიტყვის დღევანდელი მნიშვნელობით გამოყენება მოგვიანებით, ინგლისში, XVII ს–ის დასაწყისში დაიწყო. „დიპლომატიის“ პირველი კონცეფცია 1645 წლით თარიღდება და იგი დარწმუნების და მოლაპარაკების ტექნიკას გულისხმობდა. 1693 წელს, ლაიბნიცმა (1646–1716), გამოაქვეყნა დიპლომატიური სამართლის კოდექსი და გამოიყენა სიტყვა „დიპლომატიური“ (ლათ. diplomaticus). ამის შემდეგ იგი საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებულად გაიაზრება.

საერთაშორისო დონეზე ტერმინ „დიპლომატიის“ პირველი გამოყენება 1791 წლით თარიღდება და მასში უკვე პოლიტიკურ ურთიერთობებს გულისხმობდნენ, თუმცა ცნება „დიპლომატია“–ს ფ. კალიერი (1645–1717) „მოლაპარაკების პროფესიასთან აიგივებდა“. რაც შეეხება დიპლომატიური სამსახურების შესახებ, ჟ. კამბონის

(1845–1935) თანახმად იგი „მოლაპარაკებების და ხელშეკრულებების გაფორმების ხელოვნებაა“. ჰ. ნიკოლსონი (1886-1968) თვლიდა, რომ 1815 წლის 19 მარტის რეგლამენტმა და 1818 წლის ეგს-ლა-ჩაპელის კონგრესის რეგულაციამ დიპლომატიურ ეტიკეტს, წოდებებს და სამსახურებს ჩაუყარა საფუძველი, რომელიც განისაზღვრა ოთხი კატეგორიით: 1) ელჩები, პაპის ლეგატები და ნუნციები. 2) საგანგებო დესპანები და სრულუფლებიანი მინისტრები. 3) რეზიდენტი მინისტრები და 4) მოვალეობის შემსრულებლები.

2.2. ანტიკური რომის დიპლომატიის მახასიათებელი

უპირატესად გამოვყოფთ მეფეთა ხანის დიპლომატიის მახასიათებელს: ა) იყო იძულებითი და ძალაზე დაფუძნებული; ბ) ჰქონდა სამშვიდობო ანდა რელიგიური სახე; გ) დიპლომატიური საქმიანობის მარეგულირებელი გარკვეული ნორმების შემუშავება და მისი ასახვა კანონმდებლობაში; დ) ელჩის ფიცის პრაქტიკის დანერგვა და ე) იტალიკ ტომებისგან განსხვავებით დამოუკიდებელი დიპლომატიის წარმოება. რაც შეეხება რესპუბლიკის პერიოდის, აქ გამოვარჩევთ: ა) „ორმაგი“ დიპლომატიის პრაქტიკას; ბ) ელადის თავისუფლების იდეას, როგორც დიპლომატიური წარმატების ინსტრუმენტს და გ) „კონგრესის იდეის“, პრაქტიკაში დანერგვა. აქვე შევნიშნავთ, რომ „ოლიმპიური დიპლომატიის“ ბერძნული პრაქტიკა რომისთვის უცხო იყო, მაგრამ გლადიატორთა ბრძოლებზე და სპორტული თამაშებზე უცხოელი მეფეების მიწვევა, რომელიც დიპლომატიის ნაწილი იყო.

რომაულ დიპლომატიაში სიახლე იყო ელჩებისთვის „მარცხენა ხელის თითებზე ბეჭდის“, როგორც დიპლომატის ატრიბუტის ტარების პრაქტიკა. იგი რომაელებმა საბინებინებისგან გადაიღეს (Liv., I. 11). ასევე რომში იყო „ფეციალის კოლეგია“, რომლებიც დიპლომატიურ ასპექტებს განიხილავდნენ, ხელს აწერდნენ და იცავდნენ საერთაშორისო ხელშეკრულებებს (Liv., I. 20, 24, 32).

ნიშანდობლივია, რომ ანტიკურობამ მუდმივი დიპლომატიური მისიები არ იცოდა. იგივე სურათი იყო რომშიც. სენატში წყდებოდა კონკრეტული მიზნებისთვის დროებითი ელჩების გაგზავნა ანდა მიღება. მაგ., ტულუს ჰოსტილიუსმა ალბელებს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით ელჩები გაუგზავნა, უარი მიიღებისას კი მათ ომი

გამოუცხადა (Liv., I. 22. 4-5. 5, III. 3. 3).

წყაროებში შენიშნულია, რომ რომაელები ხელშეკრულებებს ყოველთვის თანაბრად, მაგრამ განსხვავებული პირობებით დებდნენ (Liv., I. 24.), რაც მკაფიოდ გამოჩნდა იტალიკების მიმართ. რომში მიღებული იყო ელჩის ორატორთან, (Liv., I. 15, 5; II. 13, 7; V. 16, 1; IX. 43, 21; X. 11; XXI. 24, 3; XXV. 29, 1; XXXII. 16, 14; XXXV. 51, 6.), ანდა ლეგატთან (Liv., Ab urbe condita, VII. 38, 4; X. 45, 4) გაიგივება. ამასთან, საგანგებოდ შექმნილი ელჩების ჯგუფს ე.წ. „ლეგაციებს“ (საელჩოებს) უწოდებდნენ (Liv., I. 10, 1; IV. 52, 7; XXI. 9, 3.), ხოლო „კადუცეატორები“ იყვნენ ის პირები, რომლებიც არაფორმალურ მისიებში, უცხო ქალაქებში და ხალხებში იგზავნებოდნენ (Liv., XXVI. 17, 5; XXXI. 38, 9; XXXII. 32, 5; XXXVII. 45, 4; XLIV. 46, 1). რომაული აზროვნებით ელჩები ღმერთებისა და ius gentium-ის მფარველობის ქვეშ იმყოფებოდენ და ისინი ხელშეუხებლ პირებად ითლებოდნენ (Liv., II. 4.22.XXI.25XX).

თავი III. მეფეთა ხანის რომის დიპლომატია

ტრადიციით რომს შვიდი მეფე მართავდა. მეფეების მმართველობის პრაქტიკაში მიღებული იყო დიპლომატიური გზით კონფლიქტის თავიდან აცილების გზებიც. პრაქტიკაში იყენებდნენ ე.წ. „იძულებითი დიპლომატი“-ასაც, რითაც ხდებოდა მეზობელ ტომებთან თუ ქალაქებთან ომების წარმოება. ლ. შმელიოვა შენიშნავდა, რომ „რომაელი ხალხის დიპლომატიური საქმიანობა ნუმა პომპილიუსის (ძვ.წ. 715-673/2) მეფობის დროიდან კანონმდებლობით გაიწერა. ჩამოაყალიბდა საელჩოს მარეგულირებელი წესები, რომელიც რომაელი ელჩების საქმიანობას არეგულირებდა და განსაზღვრავდა უცხოეთის ელჩების მიმართ დამოკიდებულებას“. რომში უცხოურ დელეგაციების მიღება მეფის პრეროგატივა იყო. მათი ძალაუფლება დიპლომატიის განხორციელებასაც ითვალისწინებდა. ეს ფაქტი იძლევა საფუძველს, რომ ვისაუბროთ სამეფო პერიოდიდან რომის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე და განხორციელების გამოცდილებებზე“. ძვ.წ. VIII-VI ს–ბი, აპენინზე, რომაელებისთვის აქტიურ საგარეო პოლიტიკის პერიოდია, რომლის დროსაც საფუძველი ჩაეყარა პირველად დიპლომატიურ ფორმებს, ელჩების გაგზავნის და მიღების პროცედურებს.

დიპლომატიური იყო რომის პირველი მეფის რომულუსის პირველი ინიციატი-

ვები, რაც მეზობელ ხალხებთან მოლაპარაკებასა და მოკავშირეების მხარდაჭერაში გამოიხატა. ჩვენ არ ვიზიარებთ ლიტერატურაში დომინირებულ აზრს, რომ რომულუსის დიპლომატიურ ურთიერთობებს არასოდეს ჰქონდა პირდაპირი კავშირი წარმოშობილ კონფლიქტებთან. პირიქით, საბინებთან მიმდინარე ომი მისგან მაპროვოცირებული იყო. მათთან წარმომადგენლის გაგზავნა რომულუსის მხრიდან იყო პირველი დიპლომატიური ქმედება. შევნიშნავთ,რომ რომისთვის კრიტიკულ მომენტში საბინებთან ომისას, პრობლემის გადაჭრა რომულუსმა საბინი–ქალების ხელით შესძლო, რაც რომაული დიპლომატიის პირველი დიდი გამარჯვება იყო.

რომულუსის მეფობისას ფიქსირდება მეზობლებთან მრავალჯერადი დიპლომატიური ურთიერთობები. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რომი–პოლისის საგარეო ურთიერთობების კონტექსტიდან გამომდინარე, საბინებთან და ლავინიუმთან მისიის მთავარი მიღწევა იყო რომულუსის მიერ წარგზავნილი ელჩების მიერ უკანასკნელებთან დადებული ხელშეკრულების განახლება, რაც ნიშნვდა, რომ „დიპლომატიური კავშირები არსებობდა კონფლიქტებამდე და შემდეგაც.

ნუმა პომპილიუსის (ძვ.წ. 715-672) დიპლომატიური საქმიანობა „ემყარება მშვიდობიანი და ღვთისმოსავი მონარქის იდეას“. მისთვის უცხო იყო ძალის გამოყენების პრინციპი, ამიტომაც მან მეზობლებთან სამშვიდობო ხელშეკრულებები გააფორმა. ნუმას რელიგიური კრედო ასევე „გულისხმობდა საერთაშორისო ვალდებულებების პატივისცემის გარანტიებსაც“. განსხვავებული იყო ტულუს ჰოსტილიუსის (ძვ.წ. 672-640) მმართველობა. ტრადიციის მიხედვით თითქოს მას ჰქონდა მშვიდობაზე დაფუძნებული დიპლომატიის იდეა, ხოლო მას „შემდეგ რაც ელჩების მეშვეობით გზავნილ მოთხოვნაზე უარი მიიღო, ალბელებთან ომი წამოიწყო“. ჰოსტილიუსის წესით იგი ომი გამოცხადებიდან 30 დღეში უნდა დაწყებულიყო (Liv., I. 22). კლ. ოლიარდი შენიშნავდა, რომ „ტულუსის მეფობიდან სამეფო დიპლომატიის ფუნქციები გაფართოვდა და იგი გამტკიცდა რომის ლათინურ ლიგაში ინტეგრაციით, რომელიც დაფუძნებული იყო ხელშეკრულებაზე“, ხოლო ნებისმიერი ომი, რომელიც არ იყო გამოცხადებული „რელიგიას და სამართლიანობას ეწინააღმდეგებოდა“ (Cic., De re publica, II. 31).

ანკუს მარციუსმა (ძვ.წ. 640-616) იტვირთა „მეფე-დიპლომატის ფუნქცია“, მას უკავშირდება რომში ომები გამოცხადების წესის მიღება:ელჩი,რომელიც საზღვართან

მივიდოდა ამბობდა: „ისმინე, იუპიტერო ისმინეთ ამ ქვეყნის საზღვრებო... მე ვარ მთელი რომაელი ხალხის მაცნე, უფლებათა და პატივისცემით მოვდივარ როგორც ელჩი, და იყოს ჩემი სიტყვა რწმენა!... თუ მე არასწორად და უსამართლოდ მოვითხოვ, რომ ეს ხალხი და ეს ნივთები მომეცეს ჩემთვის, შეგიძლია იუპიტერო სამუდამოდ წამართვა ჩემი სამშობლო". 32 დღის გასვლის შემდეგ იგი კვლავ აცხადებდა: „ისმინე, იუპიტერო და შენ იანუს...! მე მოგიყვანთ მოწმედ იმისა, რომ ამ ხალხმა უფლება დაარღვია" (Liv., I. 32).

მარციუსს მიეწერება ლაციუმის ქალაქებთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება, რომელიც რომის ძალაუფლების განმტკიცებაში იყო გადამწყვეტი ფაქტორი. ნიშანდობლივია, რომ „ვეის და ფიდეს წინააღმდეგ მის ჩარევას არ ახლავს რაიმე ქმედება, რომელიც მას მკვეთრად განასხვავებდა", სამაგიეროდ, ეტრუსკებთან დადგენილმა მისმა ურთიერთობებმა ანკუსი „სრულყოფილი ადამიანი" გახადა" (დ. დუბუაზონი).

რომის პირველი ეტრუსკი მეფე ტარკვინიუს ძველი, დიპლომატიურ ინიციატივებში სრულ კონტროლს ინარჩუნებდა. როგორც ჩანს, ლათინების წინააღმდეგ ომი, მისი ერთადერთი დიპლომატიური ინიციატივა იყო. ცენტრალური იტალიკ ხალხებთან, ლაციუმის მიღმა ჰერნიკებთან და ეკვებთან ურთიერთობების გაფართოება რომაული დიპლომატიის დინამიკურ ევოლუციის მანიშნებელია.

სერვიუს ტულიუსის (ძვ.წ. 578-53) მეფობა რომში პოლიტიკური და სამხედრო რეფორმების პერიოდია. მეფე დიპლომატიური საქმიანობის მოქმედებებში იყო ჩართული. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ სერვიუსის საქმიანობა საგარეო პოლიტიკური კუთხით მდიდარია, მაგრამ ელჩების გაცვლითი ურთიერთობების რაოდენობით მცირე (კლ. ოლიარდი). ლივიუსი შენიშნავდა, რომ „ძალაუფლების გასაძლიერებლად მეფე ყოველთვის არ მიმართავდა იარაღს" (Liv., I. 45). ისტორიკოსის ცნობით: „სერვიუსმა ძვ.წ. 578 წ. ვეისთან გამოუცხადებელი ომით დაიწყო მეფობა. ამის მიზეზი იყო მათთან დადებული ზავის ამოწურვა. შესაბამისად, სერვიუსმა სამხედრო მოქმედებები წამოიწყო" (Liv., I. 42). ჰალიკარნასელი აზუსტებს სერვიუსის მიერ .ვეისთან გაგზავნილ დიპლომატიურ მისიას. იგი წერდა, რომ „ვეიები პირველები გამოეყვნენ რომს და ტულიუსისგან გამოგზავნილ ელჩებს უპასუხეს, რომ არ

ჰქონდათ რომაელებთან ალიანსზე და მეგობრობაზე დადებული შეთანხმება“ (Halic., Antiquitatum romanarum, I. 27). ეს ფაქტი კლ. ოლიარდის აზრით მიანიშნებს, რომ „ტრადიცია ლათინ და ეტრუსკ მეფეებს თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებდა. მაშასადამე, დიპლომატიური ვალდებულების დაცვა და შესრულება იყო პირადი საქმე“. ბ. ლიუ-ჯილე წერდა: „სერვიუსმა ლათინების შეწყალებაზე უარ ითქვა მათი მხრიდან ხელშეკრულებებისადმი უპატივცემულობის გამო. ამის მიუხედავად, მეფემ მათთან მეგობრული ურთიერთობები მაინც დაამყარა, რაც სერვიუსის ერთადერთი დიპლომატიური ინიციატივა იყო. ის ასევე იყო აქტი, რომელიც ნიშნავდა, რომ არასაომარ მდგომარეობაში მეგობრული ურთიერთობების დამყარება სერვიუსის დიპლომატიის ერთ-ერთ ძლიერ მხარეს წარმოადგენდა“.

ლუციუს ტარკვინიუს „ამაყი“ (ძვ.წ. 534-509) ლათინურ ქალაქებთან მოკავშირეობას და მეგობრულ ურთიერთობებს ამყარებდა. კლ. ოლიარდის თანახმად, მეფის „დიპლომატიური პრაქტიკა კონფლიქტებში გადადგმული ნაბიჯების შედარებაში გამოვლინდა“. ლივიუსის ცნობით, მეფე „ცდილობდა უცხოელების მხარდაჭერას და ყურადღების მიპყრობას“ (Liv., I. 49). მაგ., ლათინებთან ალიანსმა მას საშუალება მისცა „ომი უცხოლებთან გაემართა, ამიტომ მეზობელ ხალხებთან დაპირისპირება იყო მისი ერთადერთი ინიციატივა“. მეფის დიპლომატიური საქმიანობები ლოგიკურად ქმნიდა მტკიცე და დამპყრობელი მმართველის იმიჯს. ტარკვინიუსის დიპლომატიური ინიციატივები დაწესებულ ძალთა ბალანსის ევოლუციაზე იყო დამყარებული. მეფეს მიეწერებოდა 9 დიპლომატიური მისიის განახორციელება. მისმა საგარეო პოლიტიკამ გავლენის და რომის საზღვრების გაფართოება გამოიწვია. მისი ინიციატივით დამყარებულმა ურთიერთობებმა საფუძველი ჩაუყარა რომი–პოლისი მხრიდან დამოუკიდებელ დიპლომატიის წარმოებას.

თავი IV. რესპუბლიკის პერიოდის რომის დიპლომატია

4.1 ანტიკური რომის დიპლომატიური ინსტიტუტები და საერთაშორისო კავშირების გაფართოება ძვ.წ V-I ს-ბში.

ძვ.წ V-I ს-ბში ანტიკური რომის რესპუბლიკის პერიოდში რომაელებმა გამოავლინეს რეალური პოლიტიკის წარმოების ხელოვნება. ლიტერატურაში შენიშნულია,

ისტორიის ამ მომენტში „რესპუბლიკურმა რომმა პოლიტიკურ პრაქტიკასა და დიპლომატიურ პრინციპს შორის საყოველთაო თანხმობა შექმნა“. ანტიკური ეპოქის სხვა ქვეყნების მსგავსად რომაული დიპლომატია ძალის პრინციპს ექვემდებარებოდა, მაგრამ რომის მილიტარისტულ პოლიტიკაში მკვიდრდება არსებითი სიახლეები. ერთ-ერთი ასეთი სიახლე იყო დიპლომატიურ პრაქტიკაში „დაჰყავი და იბატონეს“ პრინციპის შემოღება. ამ პერიოდის რომმა შესძლო მნიშვნელოვანი დიპლომატიური აქტივების და მიმზიდველი პოლიტიკური მოდელის შეთავაზება ხმელთაშუა ზღვის სახელმწიფოებისთვის, რომელიც დიპლომატიურ მოლაპარაკებებში, საელჩოების უწყვეტ გაცვლაში და სხვადასხვა ხელშეკრულებებში გამოიხატა. მ. როსტოვცევი მართალი იყო, როდესაც მიუთითებდა, რომ „საერთაშორისო ურთიერთობებში რომსა და ვასალურ სამეფოების შორის ურთიერთობებმა უკვე საინტერესო სახე მიიღო“.

განსახილველ მონაკვეთში რომში ხმარებაში შემოდის ე.წ. „ორმაგი“ დიპლომატიის პრაქტიკა. იგი იმაში გამოიხატებოდა, რომ „ნებისმიერი საპასუხო ქმედება ან თუნდაც უმოქმედობა რომს უპირატესობას უქმნიდა“. ეს იმას ნიშნავდა, რომ „ორმაგი დიპლომატია“, რომისთვის იყო სასარგებლო, რადგან ან გაერთიანდებოდნენ მასთან ან უარის შემთხვევაში რომი გაანადგურებდა. აღსანიშნავია, რომ უკვე, ანტიკური რომის დომინირება ორი გარემოებით გამოიხატება: 1. დიპლომატიური თავისებურებებით და 2. სეკულარიზაციით, რომელიც მოლაპარაკების და დიპლომატიური პერსონალის გამოყენებაში წარმოჩნდა.

საერთაშორისო ასპარეზზე რესპუბლიკური რომის დიპლომატია სხვადასხვა ასპექტით გამოავლინდა. ამ პროცესის ძირითადი შედეგი გახდა სხვა ტომებთან დაახლოება, რამაც თავის მხრივ, საერთაშორისო კავშირების გაფართოებაც გამოიწვია. რესპუბლიკის პირველი წლების დიპლომატია ჯერ კიდევ უპირისპირდებოდა რომის საგარეო პოლიტიკის ცნობილ მოვლენებს. ამისათვის ძვ.წ. V საუკუნე შეიძლება განისაზღვროს არათანაბარი ხანგრძლივობის ორი თვალსაჩინო დიპლომატიური მოვლენით, რომლებმაც რომის დიპლომატიის ისტორიაში ადგილი დაიკავა: 1. ძვ.წ. 486 წელს ჰერნიკებთან დადებული ხელშეკრულება. იგი ერთ-ერთ იშვიათ ხელშეკრულებას წარმოადგენდა, რომელსაც რომი მომდევნო ათწლეულებში იცავდა. და 2. ძვ.წ. 454 წელს დეცემვირატის დროს დადებული ხელშეკრულება, რომელიც უპირველეს ყოვლისა

აღნიშნავდა დიპლომატიის გამოყენების ევოლუციურობას.

ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ჰერნიკებზე, ექვებზე და ვოლსკებზე მიმართულმა სხვადასხვა დიპლომატიურმა მისიებმა ანტიკურ რომს გამარჯვება მოუტანა, რომელმაც თავის მხრივ, მნიშვნელოვნად შეცვალა აპენინის ნახევარკუნძულზე ძალთა ბალანსი. აქედან გამომდინარე, დიპლომატიურ წარმომადგენლობებში რომაელი სენატორები უკვე ხაზს უსვამდნენ, არა დახმარების თხოვნას, არამედ მათვის მთავარი გახდა მოთხოვნის პრინციპს. თუ რესპუბლიკის პერიოდში მმართველობის მთავარი ფორმულა იყო: სენატი+ხალხი, აქედან გამომდინარე დიპლომატიურ ფორმალობებზე სენატის დომინირება დამკვიდრდა. იგი გამოიხატა ლათინურ ფრაზაში „SPQR“- ში („სენატი და რომის ხალხი“).

თავდაპირველად სენატორების დანიშვნის უფლება მეფებს ეკუთვნოდა. რესპუბლიკის ეპოქაში ელჩების დანიშვნის უფლება სენატის პრეროგატივა იყო (Liv., VIII. 25, 2; XXX. 25, 2). რაც შეეხება მაგისტრატებს, რესპუბლიკის დროს მათ ირჩევდა რომაელი ხალხი. მაგისტრატს შეეძლოთ საფრთხის შემცველ ქმედებაზე „ვეტო“-ს გამოყენება. ლივიუსი შენიშნავდა, რომ „ომის დროს მაგისტრატს სახალხო კრების დამტკიცების პირობით, მტერთან ზავის გამოცხადება და მტრულ სახელმწიფოსთან მშვიდობის დამყარება შეეძლო“ (Liv., IX. 4.). აქვე უნდა ითქვას, რომ რომში სახალხო კრების ორგანიზება ემყარებოდა კურიად დაყოფის პრინციპს, ხოლო მის მოწვევას, „კალატური კომისია“ (Comitia calata) ეწოდებოდა. პროკონსული პროვინციაში შესვლის შემდეგ ლეგატს ანიჭებდა იურისდიქციას (Ulp., De officiis procons., I). იგი ყველა იმ დიპლომატიური უფლებით სარგებლობდა რაც პროკონსულს გააჩნდა.

ნიშანდობლივია, რომ რესპუბლიკის პერიოდში რომის დიპლომატია საერთაშორისო კავშირებში და ხელშეკრულებებში გამოიხატებოდა. მათ შორის აღსანიშნავია ძვ.წ. IV-III ს-ბში ეტრუსკებთან კავშირი; სავაჭრო ხელშეკრულებები კართაგენთან (ძვ.წ. 513; ძვ.წ. 510/509-508; ძვ.წ. 348; ძვ.წ. 306; ძვ.წ. 279-278; ძვ.წ.241; ძვ.წ. 237). პარალელურად, კავშირების გაფართოება ხდებოდა სხვადასხვა დიპლომატიური მოლაპარაკებებით. ძვ.წ. 390 წელს რომს საფრთხე შეუქმნა გალური ტომების შემოჭრამ. თუმცა, საბოლოოდ, რომმა ისინი დაამარცხა, ხოლო ძვ.წ. 338 წელს რომაელებმა დამარცხეს ლათინები. ძვ.წ. 326-302 წლების შუალედში რომმა ძალით ანდა ნებით, დიპლო-

მატიის გზით, შეიერთა: ნეაპოლი, კამერინი, პერუსია, არეცო და სხვა ქალაქები

რესპუბლიკის პერიოდში რომის დიპლომატიური სიახლე იყო ე.წ. ანდერძის პრაქტიკის შემოღება. ერთ-ერთი ასეთი რეზონანსული საბუთი იყო პერგამოსის მეფის ატალოს III-ის (ძვ.წ. 138-133) ანდერძი. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ იგი ნებაყოფლობით არ იყო შექმნილა, მაგრამ წარმოადგენდა რომაული „მშვიდობიანი“ ექსპანსიის განსაკუთრებული ფორმას. ზოგადად, ანდერძის აღსრულება სენატის „ნებაზე“ იყო დამოკიდებული. ძვ.წ. 133 წლის „ანდერძმა“ ატალიდების დინასტია გაუქმებულად გამოაცხადა, ხოლო მემკვიდრის გარეშე დარჩენილი პერგამოსის სამეფო რომაელი ხალხის სასარგებლოდ რომთან გაერთიანდა.

რესპუბლიკის პერიოდის რომაული დიპლომატიური მანევრის ერთ–ერთი ხერხი იყო დამარცხებული მოწინააღმდეგის მიმართ „რომაელი ხალხის მეგობრის“ ტიტულის ბოძება. იგი მასობრივად გამოიყენებოდა აზიის დაპყრობის პრაქტიკაში რომაული დიპლომატიის ისტორიაზე თვალის გადევნებით სჩანს, რომ ტიტულის ბოძება პირველ ეტაპზე ხდებოდა, რასაც შემდგომ მოსდევდა „მეგობარი“ ხალხის დაპყრობა.

რომში ჩამოსული ელჩოება იყოფოდა: არამეგობრული სახელმწიფოების და მეგობარი ხალხების ელჩობად. ვინაიდან მოსალოდნელი იყო უცხოელი დიპლომატების ზედმეტად ინფორმირება, ამიტომაც მტრული სახელმწიფოს ელჩებს ქალაქში არ უშვებდნენ და ისინი იცდიდნენ მარსის ველზე (Liv., XXX. 21. 12). ელჩებთან აუდენციას სენატი ქალაქ გარეთ, ბელონას ტაძარში აწყობდა (Liv. XXX. 40. 1). ასე მიიღეს მათ მაკედონიის მეფის ფილიპეს ელჩები (Liv., XXXIII. 24. 5). რაც შეეხება მეგობარი სახელმწიფოების ელჩებს, ისინი რომში კურიასთან ახლოს ჩერდებოდნენ. მათ იწვდნენ ზეიმებზე, სპექტაკლებზე და ა.შ.

ანტიკურ სამყაროში მიმდინარე დიპლომატიური საქმიანობებიდან რომაელებს განასხვავებდა ელჩის მხრიდან ბეჭდის ტარების ვალდებულება. რომაულ პრაქტიკაში, სავარაუდოთ, იგი მეფეთა ხანის მიწურულს ეტრუსკებიდან უნდა შესულიყო. რესპუბლიკის პერიოდში უცხო სახელმწიფოში ელჩებად გაგზავნილი სენატორებისთვის ოქროს ბეჭდის ტარება აუცილებელი გახდა, რომლებიც მათ მიღებული ჰქონდათ სახელმწიფოსგან და რესპუბლიკის სიმბოლოს წარმოადგენდა. ლივიუსიც ადასტურებდა, რომ „დროთა განმავლობაში ყველა სენატორისთვის, მთავარი მაგისტრა-

ტისთვის და ბოლოს ელჩისთვის ჩვეული გახდა ოქროს ბეჭდის ტარება“ (Liv., XXIII, 12). ელჩის ბეჭდის ტარების უფლება სპეციალურ კონცეფციას მოიცავდა და ექსკლუ-ზიურ პრივილეგიას წარმოადგენდა.

4.2 აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობა და რომის დიპლომატია

აპენინის ნახევარკუნძულის დაპყრობის საქმეში რომის მთავარი ლაიტმოტივი იყო რომი-ეტრუსკების დაპირისპირება. ამ პერიოდის რომაული დიპლომატიის ერთ-ერთი მიღწევა იყო დასაპყრობი ქალაქებისთვის „რომის მოქალაქეობის“ მინიჭების პრაქტიკა. მაგ., ნეაპოლის დაპყრობა გამართლდა „რომის მოქალაქეობის“ მიანიჭე-ბით. ეს იყო იმის მტკიცებულება, რომ რომს შეეძლო დიპლომატიაში შეთავაზებული რესურსები გამოეყენებინა. ლივიუსის ცნობით: ძვ.წ. 354 წ. რომსა და სამნიტურ ფე-დერაციას შორის დაიდო პირველი ოფიციალური ხელშეკრულება (Liv., VII. 2). ამის გარდა, რომაული სტრატეგია გამოვლინდა შემდეგში, როცა სენატი ცდილობდა დიპლომატიის წარმოებით თავიდან აეცილებინა სამნიტების გავლენის გაძლიერება კამპანიაში, ხოლო უკანასკნელების აგრესიული ქმედებებით შეწუხებულმა კაპუელები დახმარებას სთხოვდნენ რომს. ვინაიდან კაპუა მთავარ კვანძს წარმო-ადგენდა, ამიტომაც რეალური დიპლომატიური მანევრით რომის ხელისუფლებამ შინაგანი ავტონომის შენარჩუნებით იგი მიიღო შემადგენლობაში.

„რომის მოქალაქეობის“ სტატუსის მინიჭებით აპენინის ნახევარკუნძულის დაპ-ყრობა ნოუ-ჰაუ იყო რესპუბლიკის პერიოდის დიპლომატიურ აზროვნებაში. „სამარ-თლიანობის“ პრინციპით იტალიის დაპყრობა, ერთ სივრცეში ფედერაციის სახით რა-მდენიმე ავტონომიური ეტრუსკული ქალაქის და იტალიკი ტომების გაერთიანება, რომაული დიპლომატიის გამარჯვება იყო.

4.3 პუნიკური ომები და რომის დიპლომატია

ძვ.წ. III-II ს-ბში, პუნიკური ომების დროს, რომაულმა დიპლომატიამ „განსაკუ-თრებული მნიშვნელობა“ შეიძინა. ამ პერიოდის რომის დიპლომატიის თვალსაჩინო მაგალითია კართაგენელი ჰანიბალის და რომაელი მხედართმთავრების მიერ ბრძოლ-ის პროცესში წარმოებული მოლაპარაკებები. ვ. სერგეევის აზრით „ამ დროიდან

რომი საერთაშორისო ასპარეზზე გადის, ხოლო რომის დიპლომატიამ განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია“.

პირველი პუნიკური ომის (ძვ.წ. 264-241) დასაწყისში, სირაკუსის მეფე-ტირანი ჰიერონ II (ძვ.წ. 270-215) გადაბირება, რომაული დიპლომატიის წარმატებად მიიჩნევა. ომის მიმდინარეობის პროცესში რომი ჩვეულ, ძალაზე დამყარებულ დიპლომატიას აწარმოებდა. ომის დასრულების შემდეგ, დიპლომატიური ინციდენტების და პოლიტიკური მანევრების გამო, კართაგენი და რომი დასავლეთ ხმელთაშუა ზღვის საზღვაო ძალაუფლებისთვის ჩაკეტილები აღმოჩნდნენ.

მეორე (ძვ.წ. 218-202) და მესამე (ძვ.წ. 149-146) პუნიკური ომებისას ფიქსირდება რომაული დიპლომატია უკვე სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება. მაგ., ტიცინუსის ბრძოლაში (ძვ.წ. 218), ლივიუსის ცნობით, „მაშინ, როდესაც „მოკავშირეთა გადმობირებისათვის არ არსებობს უკეთესი გზა, ვიდრე დახმარების ხელი გაუწოდო იმ ხალხს, რომელიც პირველი გთხოვს შველასო (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 46.). რომმა განიცადა მარცხი ტრებიას (ძვ.წ. 218), კაზინიუმის (ძვ.წ. 209). თუ კანესთან (ძვ.წ. 216) მიმდინარე ბრძოლებში, მაგრამ ამის მიუხედავად, ფედერაციის სუბიექტებთან, კონსულების ხელით, იგი აწარმოებდა სხვადასხვა მოლაპარაკებებს. ამის მაგალითია იძულებით დიპლომატიური მოლაპარაკებების წარმოება კაპუელებთან (ლივიუსი, ომი ჰანიბალთან, 100-101).

ძვ.წ. 215 წ. ჰანიბალის მაკედონიის მეფე ფილიპე V (ძვ.წ. 221-179) შორის დადებული რეზონანსული „ალიანსისა და ომის შესახებ“ ხელშეკრულებით ხმელთაშუა ზღვის სამყაროს ორ სფეროდ დაყოფას საშიშროებას, რომაულმა დიპლომატიამ იშვიათი ხელოვნებით შესძლეს თავის სასარგებლოდ გამოყენებინათ მაკედონია-საბერძნეთს და საბერძნეთ-ელინისტური სამყაროს შორის არსებული შიდა წინააღმდეგობები. თავდაპირველად რომაელებმა ბერძნულ (სპარტა, ეტოლიის კავშირი...) ძალებთან გაერთიანებით ანტიმაკედონური კოალიცია შექმნეს, ხოლო უკანასკნელი კი ელინისტური სამყაროს წინააღმდეგ.

მესამე პუნკური ომის წინა პერიოდში რომის მხრიდან ნუმიდიის მეფე მასინისა (ძვ.წ. 240-149) გადაბირება მიიჩნევა რომაული დიპლომატიის უდიდეს გამარჯვებად.

4.4 „აღმოსავლური პოლიტიკა“ და რომის დიპლომატია

რომის აგრესია ბალკანეთის ნახევარკუნძულის მიმართულებით აღმოსავლური მილიტარისტული პოლიტიკის დასაწყისად მიიჩნევა. ამ პოლიტიკის ძირითადი სუბიექტები იყვნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულის ბერძნები და ელინისტური სახელმწიფოები. მომავალი დაპირისპირება რომისგან დიპლომატიურ სიახლეს ითხოვდა, რაც გამოიხატა - ელადის თავისუფლების იდეაში. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ საბერძნეთის გათავისუფლების პოპულარული იდეა რომაული დიპლომატიის კარგად გათვლილი პროპაგანდისტული ნაბიჯი იყო, რომლი მიზანი იყო „აღმოსავლეთის ხალხებისათვის რომაული წესრიგის უპირატესობის ჩვენება“.

ჩვენც ვიზიარებთ აზრს, რომ რომაული დიპლომატიის მოქნილობა „ელადის „თავისუფლების“ იდეაში გამოვლინდა, რომელიც რომაელებმა და მისმა მოკავშირეებმა ელადაში დიპლომატიური და სამხედრო მოქმედებების გასამართლებლად გამოიყენეს. რომის მხრიდან ეს იყო რომაული დიპლომატიის ერთ-ერთი ხერხი, რომელმაც საბოლოოდ ელადის დაპყრობა გამოიწვია.

აღმოსავლურ პოლიტიკაში რომის მხრიდან divide et impera“-ს პრინციპი. იგი დამორჩილებულ ქალაქებთან ურთიერთობებში გამოიხატებოდა. რომი დიპლომატიაში „ამიციურ“ ურთიერთობებსაც იყენებდა, თუმცა ილირიული ომების დასაწყისიდან და ეტოლიის კავშირთან ალიანსის შემდეგ მან ეს ურთიერთობები შეცვალა. ილირიის პირველ (ძვ.წ. 229-228) ომში რომაელებმა გამოიყენეს „amicius populi romani“ ტიტული, რომელმაც რომთან დიპლომატიური მასშტაბები განსაზღვრა. თუმცა, როდესაც დედოფალ ტევტას სურვილით ელინური ქალაქების ძარცვა გაორმაგეს, მაშინ რომაელებმა დაიწყეს ილირიის საქმეებში ჩარევა (Polyb., Historiae universales, II. 8). მეორე ილირიულ ომში (ძვ.წ 220-219) რომს „მოკავშირეობის“ ხელშეკრულება ავალდებულებდა დაეცვა თავისი ქვეშევრდომები. ძვ.წ. 219 წელს დემეტრიუსი დამარცხდა და მაკედონიაში გაიქცა. ილირია რომის მორჩილებაში შევიდა.

ილირიულმა ომების გაგრძელებად დარჩა რომი-მაკედონიის დაპირისპირება, სადაც რომაელების მხრიდან დიპლომატიის წარმართვის უფლება სარდლების და სენატს პრეროგატივა იყო. პირველ მაკედონიურ ომში (ძვ.წ. 214-205) რომის დიპლომატია ძველი მტრობით და ელინისტური სამყაროსთან შიდა წინააღმდეგობებით გა-

ნისაზღვრებოდა. ომში ფილიპე V-ს (ძვ.წ. 221-179) ნეიტრალიზება რომაული დიპლომატიის გამარჯვება იყო, რომელიც ტერიტორიულ დათმობებსაც დათანხმდა. მეორე მაკედონიურ ომში (ძვ.წ. 200-197) ფილიპე V-ს რომაულმა დიპლომატიამ ელადაში შეუქმნა პრობლემები. ძვ.წ. 196 წლის ხელშეკრულებით ფილიპე V-მ უარი თქვა ელადის დაპყრობაზე. მესამე მაკედონიურ ომში (ძვ.წ. 171-168 წწ.) პიდნას (ძვ.წ. 168 წ.) ბრძოლაში რომაელებმა პერსევსი (ძვ.წ. 179-166) დაამარცხეს. წააგებით მაკედონიამ დაკარგა პოლიტიკური დამოუკიდებლობა და იგი რომზე დამოკიდებული სუბიექტი გახდა.

მაკედონიის განადგურების შემდეგ აღმოსავლურ პოლიტიკაში რომაული დიპლომატია უფრო გაბედული, სასტიკი და თავდაჯერებული სახე მიიღო. საბოლოოდ, მეოთხე მაკედონურ ომით (ძვ.წ. 150-148) მაკედონია რომაულ პროვინციად იქცა, რაც რომაული დიპლომატიის უდიდესი გამარჯვება.

4.5 „აფრიკული პოლიტიკა“ და რომის დიპლომატია

„აფრიკულ პოლიტიკაში“ რომაულმა დიპლომატიამ არჩევანი ნუმიდიის მეფეებს მასინისას (ძვ.წ. ?238-148) და სიფაქს (ძვ.წ. 215-203) შორის უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყვიტეს. სციპიონების მხარდაჭერით სიფაქსმა ესპანეთში კართაგენის წინაღმდეგ ომში ჩაება და გამარჯვებებიც მოიპოვა. სიფაქსის წარმატებებმა მასინისაც რომის მხარეზე გადაიყვანა.

მეორე პუნიკურ ომში მასინისას ჰანიბალის მხარეზე იყო. ანტიკურ წყაროებში ნათლად არ სჩანს ჰანიბალ-მასინისას შორის ურთიერთობების გაფუჭების მიზეზები. ჩვენი ვარაუდით ან მასინისამ ჰანიბალისგან ვერ მიიღო დანაპირები, ანდა სიფაქსის პრორომაულმა განწყობის გამო ისიც რომაელებისკენ გადაიხარა.

მასინისას მემკვიდრეობის საკითხის გადაწყვეტა რომაული დიპლომატიისთვის ლაქად იქცა. სალუსტიუსიც შენიშნავდა, რომ „ქრთამის საშუალებით რომში ყველაფრის მიღწევა იყო შესაძლებელი“ (Sall., Bellum iugurthinum, 13. 6-8). მართლაც, დიპლომატიურ პაექრობაში, მემკვიდრეებს შორის ამტყდარ დავაში, იუგურთა რომაელი კანონმდებლების მოსყიდვის გზით მიზნებს აღწევდა. მან ჩამოიშორა ნახევარძმები ადჰერბალი და ჰიემპსალი და ნუმიდიის სამეფოს დაეუფლა.

ძვ.წ. 109 წელს აფრიკული საქმეების მოგვარება დაეკისრა კონსულ კვინტუს ცეცილიუს მეტელუსს. იუგურთამ იგრძნო, რომ მის წინ ახლა აღიმართა ფულით დაუძლეველი საფრთხე. ამიტომ მან სცადა რომთან ზავის ჩამოგდება და კონსულთან წარუმატებელი დიპლომატიური მოლაპარაკებები წამოიწყო (Sall., Bellum iugurthinum, 46.1-4). იუგურთასთან დაპირისპირების საქმეში რომაულმა დიპლომატიამ ჩართო მავრიტანიის მეფემ ბოკხუსი (ძვ.წ. 118-91). საბოლოოდ, ახალი სარდლის გაიუსის მარიუსის (ძვ.წ. 157-86) წარმატებული ბრძოლებით და დიპლომატიური ძალისხმევით, ძვ.წ. 105 წელს, იუგურთას ომი დასრულდა. გეოპოლიტიკიდან გამომდინარე რომალებმა ნუმიდიის სამეფოს დასავლეთი ნაწილი მავრიტანიის მეფე ბოკხუსს მიაკუთვნეს, ხოლო აღმოსავლეთი ნაწილი მასტანბალის შვილს და იუგურთას გერ ძმას, გაუდას გადასცეს.

4.6 „გალიის ომი“ და კეისრის დიპლომატია (ძვ.წ. 58-51)

ძვ.წ. I ს-ის შუა წლები რომაული დიპლომატიის ბრწყინვალე პერიოდად მიიჩნევა. დაპყრობების მასშტაბების გაფართოებამ გაზარდეს პრაქტიკაში დიპლომატიის როლი. ამ პერიოდის რომაული დიპლომატიის ბრწყინვალე წარმომადგენლად მიიჩნევა გაიუს იულიუს კეისარი (ძვ.წ. 100-44). მისი დიპლომატიური ნიჭი წარმოჩნდა ე.წ. „გალის ომის“ დროს.

„გალის ომის“ წინაპირობა იყო ძვ.წ. 60 წელს კეისრის ინიციატივით I ტრიუმვირატის შექმნა, რომელსაც ლივიუსი „შეთქმულებას“ უწოდებდა. ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ტრიუმვირატის ისტორიული მნიშვნელობა იყო მათი მხრიდან ანტისენატური ძალის კონსოლიდაციის განსახიერება. ტრიუმვირატის შემდგომი კეისრის პოლიტიკური კარიერის გაგრძელება გალიის პროკონსულობა იყო. სწორედ, აქ მიმდინარე „გალიის ომისას“, მისი მხრიდან გამოვლენილი დიპლომატიური დემარშები, რაც გამოიხატა პანგალიკური კონფერენციის (კონგრესი) შექმნით, რაც ანტიკური რომის დიპლომატიის ისტორიაში ახალ ფურცლად მიიჩნევა. ქართულ კეისარიადაში აღნიშნული საკითხის სიცხადისთვის განვმარტავთ, რომ ძვ.წ. 58 წელს რომაულ პრაქტიკაში, კეისარმა, პანგალიური კონფერენციის მოწყობით, დასაბამი დაუდო ე.წ. „დიპლომატიური კონგრესის“ პრაქტიკას.

სხვადასხვა ხალხების და ტომების ერთმანეთთან გადაკიდების პრაქტიკა „დაჰყავი და იბატონეს“ პოლიტიკის წყალობით საუკუნეების მანძილზე ანტიკური რომის დიპლომატიის წარმატებული ხელწერა იყო. გასაგებია, რომ გალიაში კეისარი ხელმძღვანელობდა სახელმწიფო და პირადი სარგებლობის პრინციპით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ მისი მხრიდან დიპლომატიური ნოუ-ჰაუს შემოღება ობიექტური გარემოებით, ამ შემთხვევაში თვით გალიის სპეციფიკით იყო განპირობებული. საქმე იმაშია, რომ ტომთა ჭრელ გაერთიანების გარდა, რეგიონისთვის უცხო იყო აღმოსავლეთის მსგავსი ელინისტური სახელმწიფოების (ეგვიპტე...) გამეზობლება, რომლებიც გალების შიდა საქმეებში ინტენსიურად ჩაერთვებოდნენ. რეგიონში მსხვილი მოთამაშეების არქონამ და ადგილზე ტომთა ჭრელი კონგლომერატმა, კეისარს საშუალება მისცა სენატის იგნორირებით პროვინციაში მოეხდინა დიპლომატიური და სამხედრო საქმის წარმართვის ორიგინალური უნარების გამოვლენა.

კეისრის პროკონსულობისას გალია ღრმა შიდა კრიზისს განიცდიდი, რასაც მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფს შორის სოციალური წინააღმდეგობები დაემატა. პროკონსულობის ხუთწლიანი ვადა კეისარს საშუალებას აძლევდა ჩართულიყო ადგილობრივი ტომების წინააღმდეგ სამხედრო კამპანიაში სარდლობის გადანაცვლების შიშის გარეშე. ყველა ეს წინააღმდეგობა მან უდიდესი ოსტატობით გამოიყენა რომის სახელმწიფოს ინტერესებისთვის.

„რომაელი მეგობრების“ დახმარებით კეისარმა პანგალიური კონფერენციის (კონგრესი) მოაწყო. კონფერენციის შექმნა კეისრის იდეა არ იყო. მან იგი აიღო ჰელვეტებისგან, რომლებიც ხუთი მონათესავე გალური ტომის გაერთიანებას წარმოადგენდნენ. ისინი ძვ.წ. 61 წლიდან გერმანული ტომების მხრიდან განიცდიდნენ შემოსევებს. ჰელვეტების მიგრაციას ტრანსალპური გალიაში კეისარმა წარმატებული სამხედრო კამპანია დაუპირისპირა. ჰელვეტების საქმეში ჩარევით და მისი მხრიდან პანგალიური კონფერენციის გამოაცხადებამ იგი გალების ინტერესების ლიდერად გამოიყვანა. ამ წმინდა დიპლომატიურმა ნაბიჯმა კეისარს გაუადვილა გალიის დაპყრობა. თხზულებაში „Commentarii de Bello Gallico“ მას მოჰყავს ფაქტები მისი მხრიდან სხვადასხვა ტომებისთვის „რომაელი ხალხის მეგობრის და მოკავშირის“ სტატუსის მიკუთვნების და ერთმანეთთან გადაკიდების პრაქტიკის შესახებ. ასე მოექცა იგი

სუებს, ჰარუდების, ედუების და სხვებს. გალების არბიტრის როლმა კეისარს სრული კარტ-ბლანში მისცა ჩაერეულიყო ტომობრივ მტრობაში და ზუსტად წარემართა თავისი დიპლომატიური და სამხედრო საქმეები.

კეისრის დიპლომატიურ წარმატებებში არანაკლებად მიგვაჩია მისი პიროვნული თვისებებიც (მიზანმიმართულობა, სახელმწიფო და პირადი სარგებლის პრინციპი), რომლებსაც იგი აქტიურად იყენებდა პრაქტიკაში. მოწინააღმდგების დაყოფა-დაახლოება და გაერთიანებით, კეისარმა, ძვ.წ. 52 წლის მიწურულს, გალური ტომების რომის სრულ დაქვემდებარებაში მოაქცია.

ძვ.წ. 58-51 წლების კეისრის გალური კამპანიით, ანტიკური რომის დიპლომატიურ პრაქტიკაში დამკვიდრდა სხვადასხვა ტომებისგან შემდგარი „კონგრესის“ პრაქტიკის გამოყენება, რაც წარმატებით იყო გამოყენებული იმპერიის პერიოდში. გალიაში მოღვაწეობით კეისარმა „გენიალური მხედარმთავრის“ გარდა დაიმკვიდრა „მოქნილი დიპლომატის“ სახელი.

დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომით ვასკვნით:

1. დიპლომატიის არსის შესახებ 50–ზე მეტი განსაზღვრებიდან, ძველ რომაული დიპლომატიის ისტორიის შესწავლისას, ჩვენ პრიორიტეტი მივანიჭეთ ჰ. კისინჯერის პოზიციას. საერთაშორისო ურთიერთობების ექსპერტი დიპლომატიას განმარტავდა „ახალ მსოფლიო წესრიგად“, რომელიც „წარმოიქმნება გამოცდილებისა და ძალისხმევის შედეგად, ომისა და მშვიდობის ძალებს შორის ძალთა ბალანსის დროს“;
2. ანტიკური რომის დიპლომატიური ინსტიტუტები გამოვლინდა - სახალხო კრების, სენატის, მაგისტრატების და პროკონსულების მხრიდან კონკრეტულ ქმედებებში, რომელიც ადასტურებდა იმთავითვე ორგანიზებული დიპლომატიური სამსახურის მნიშვნელობის გააზრებას. სახალო კრება კანონების მიღების გარდა იხილავდა ომის, მშვიდობის და ზავის საკითხებს. სენატის დიპლომატიური საქმიანობა სამი კატეგორიით შემოიფარგლებოდა: 1) საშინაო დიპლომატია გამოიხატებოდა იტალიკებში საელჩოების გაგზავნით; 2) საგარეო დიპლომატია

გამოიხატებოდა აპენინის ფარგლებს გარეთ საელჩოების გაგზავნით და 3) რომში უცხოური დელეგაციების მიღებით.

3. რომაული აზროვნება პირველი იყო ანტიკურ ეპიქაში, რომელმაც დაამკვიდრა ელჩებისათვის სავალდებულო „დიპლომატიური ფიცის“ და დიპსაქმიანობის შესრულების პროცესში მათვის სავალდებულო ატრიბუტის – ე.წ. „დიპლომატის ბეჭდის“ ჰქონა. მას რომაელი ელჩები უცხო სახელმწიფოში გაგზავნის და დიპლომატიური მისიის დროს ატარებდნენ, რაც ნიშნავდა, რომ იგი სრულყოფილად ასრულებდა დიპლომატიურ საქმიანობას.
4. ანტიკური რომის მეფეთა ხანაში დიპლომატია ჩვენი აზრით გამოიხატება ორი ფორმით: შიდა, ანუ საშინაო და საგარეო საქმეებით. პირველის შემთხვევაში ანტიკური რომის გამოირჩეოდა საკითხების რეგულირებით და მთავარი მიზანის მშვიდობის მიღწევით, ხოლო მეორეს შემთხვევაში ნებისმიერი განხორციელებული მოქმედებები ძირითადად ელჩებზე და საელჩოებზე გადიოდა.
5. მეფეთა ხანის დიპლომატიის საფუძველი იყო მეფის მიერ გამყარებული დიპლომატიური საქმიანობა, რაც აპენინის ნახევარკუნძულზე არსებული ტრადიციის კალკირება უნდა ყოფილიყო. მეფეთა ხანაში ჩამოყალიბდა რომაული დიპლომატის რამდენიმე სახე. მაგ., ნუმას მმართველობისას პრაქტიკაში შემოდის ე.წ. „რელიგიური დიპლომატია“. ანკუს მარციუსის დროს შემოიღეს დიპლომატიური ფიცის დადების პრაქტიკა, ხოლო ტულუს ჰოსტილიუსის დროს განისაზღვრა ელჩად გამოცდილების მქონე პირის დანიშვნის პოლიტიკა. ტარკვინიუს ამაყის მმართველობისას დააფუძნდა ე.წ. „ეშმაკური დიპლომატი“-ის პრინციპი.
6. მეფეთა ხანაში დამკვიდრდან უცხო ტომელების რომის „მოკავშირედ“ ან „მფარველობის“ ქვეშ შეყვანის პრაქტიკა. იმდროინდელი დიპლომატიური კონცეფცია მოლაპარაკებებთან ერთად ურთიერთგამომრიცხავ და მხარეებს შორის მიუღებელი გადაწყვეტილებების პრაქტიკასაც ქმნიდა. ამ პერიოდში ყალიბდება საერთაშორისო დიპლომატიური საქმიანობის საფუძვლები და რეგულაციებია: 1) „Iusfetiale“ - ომის გამოცხადებას, მშვიდობის დამყარებას, ზეპირი ფორმით ხელშეკრულების დადებას და უწევდა მის სავალდებულოდ შესრულების ზედამხედველობას. 2) „Iusgentium“ - გულისხმობდა ელჩების პირად ხელშეუხებლო-

ბას. 3) „Iuslegatonis“ - განსაზღვრავდა რომის ელჩების სტატუსს და მოვალეობებს. ასევე ტყვედ ჩავარდნილი რომაელი მოქალაქის დიპლომატიურ საქმიანობას.

7. რესპუბლიკის პერიოდში დიპლომატიის სხვადასხვა ასპექტები გამოვლინდა ა) დიპლომატიური თავისებურებში და ბ) დიპლომატიურ პრაქტიკაში, რომელიც მოლაპარაკების და დიპლომატიური პერსონალის გამოყენებაში წარმოჩნდა. ფართოდ მკვიდრდება „ორმაგი დიპლომატიის“ პრინციპი, რაც მას დომინირებული პოზიცია მისცა. რაც შეეხება ელჩებს, მათ მიენიჭათ სახელმწიფო სტატუსი და იწოდებოდნენ, როგორც „რომის სახელმწიფო ელჩები“.
8. რესპუბლიკის პერიოდის რომაული დიპლომატიის თანმდევი „Divide et impera“ პრინციპი იყო, რაც საუკუნეების მანძილზე რომაული დიპლომატიის მთავარი დიპლომატიური მახასიატებელი დარჩა;
9. რესპუბლიკის პერიოდში დიპლომატიური ნოუ–ჰაუ იყო: ა) ბალკანეთის დაპყრობის პროცესში რომაული დიპლომატიის სლოგანია – „ელადის თავისუფლების“ იდეა, რამაც განსაზღვრა ნახევარკუნძულზე ანტიკური რომის დომინირებული მდგომარეობა და ბ) მილიტარისტულ პოლიტიკაში ე.წ. „კონგრესის“ გაგების შემოტანა. მისი ეფექტურობა გამოჩნდა გალიაში კეისრის პროკონსულობისას. „კონგრესის“ იდეა რომაული დიპლომატიის მიღწევა იყო, რომელიც წარმატებით გამოყენებოდა იმპერიის ;
10. თუ თანამედროვე ევროპული კანონმდებლობის საფუძველია ნაპოლეონის მიერ 1804–1805 წლებში მიღებული სისხლის და სამოქალაქო კოდექსები, რომლებიც თავის მხრივ ეყრდნობოდნენ ძველ რომაულ XII დაფის კანონებს. ჩვენი კვლევის მიხედვით, იგივე თამამად შეგვიძლია ვთქვათ ევროპული დიპლომატიის არსის შესახებ. ვთლით, რომ ანტიკური სამყაროს სხვა ქვეყნეებისგან განსხვავებით სწორედ რომში იქმნება ის დიპლომატიური ინსტიტუტები, რომლებიც თავისი პრაქტიკით და სახეებით, საუკუნეების მანძილზე სრულყოფით ხდება თანამედროვე ევროპული დიპლომატიის საფუძველი.

ჯამბულ აბუსელიძის გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები:

1. რომულუსის და ნუმას დიპლომატია. სამეცნიერო ჟურნალი „ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“, №VI, 2021, გვ. 276-284, გორი (http://www.sciencejournals.ge);
2. ბეჭედი-დიპლომატიის ინსტრუმენტი. საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონული და ბეჭდური, სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, №27, 2022, გვ. 122-128, ქუთაისი (https://journals.4science.ge);
3. ანტიკური რომის დიპლომატიური პრაქტიკა IV საუკუნეში. VII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია შრომები, №27, 2022. „ენა და კულტურა. გვ. 7-12, ქუთაისი (https://journals.4science.ge);
4. ანტიკური რომის საერთაშორისო კავშირების გაფართოება ძვ.წ. V-III ს-ში. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, რეფერირებადი და რეცენზირებადი „სამეცნიერო შრომების კრებული“. №1 (35), 2022. გვ. 15-22. თელავი (https://journals.4science.ge);